ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს რჩეულნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა ერთი ჯგუფი.

ფოტომონტაჟი ი. კალაძისა და ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 48 (12256)

კვირა, 25 თებერვალი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

ორმოცდამეერთე გაზაფხული

გ. ს. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ერთი წლის წინათ საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ორმოცი წლისთავი, შეაჯამეს ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ამ ორმოცი წლის მანძილზე გასწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით, და დასახეს ამოცანები მომავლისათვის.

დიდმა საბჭოთა ქვეყანამ მრავალი ახალი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიანი შრომის ყველა უბანზე გასულ წელს, რომელიც აღსავსე იყო დიადი მოვლენებით. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში.

XXII ყრილობიდან იწყება ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახალი ხანა — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ხანა. საბჭოთა ხალხი ხელებდაკაპიწებული შეუდგა იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც ყრილობამ დასახა, და კიდევაც მოიპოვა პირველი შედეგები.

ამ მიღწევებში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხმა და მათ შორის ქართველმა ხალხმაც, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის დიადი შენობის აგებაში.

ამაღლდა ხალხის მატერიალური და კულტურული დონე. შესაბამისად მკვეთრად გაიზარდა მისი მოთხოვნილება. ამის საილუსტრაციოდ ერთ მარტივ ფაქტს მოვიყვან.

ამას წინათ გადმომცეს საგულისხმო საუბრის შინაარსი. ერთ-ერთ სოფელში ჩასული ხელმძღვანელი ამხანაგისათვის მოხუც კოლმეურნეს საუბრის დროს შეუჩივლია, კარგი დრო გვაქვს, მაგრამ ბევრ რამეს, რაც გინდა, ვერ იშოვნით. როცა უკითხავთ, სახელდობრ რისი შოვნა გაგიჭირდათ, მას უპასუხნია: „რისა და „ვოლგის", საბურავებს ვერა ვშოულობო".

მე მგონი, ასეთი ჩივილი შესანიშნავად გამოხატავს საბჭოთა წყობილების მიერ ხალხისათვის შექმნილ ცხოვრების პირობებს და იმ ცვლილებებს, რაც ქალაქად თუ სოფლად მოხდა. და განა მართლაც საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი ქება არ არის, რომ მილიონობით გლეხს, რომელსაც „ნიკოლოზის დროს" იმის საშუალებაც კი არა ჰქონდა, რომ ჯვარისწერის დღეს საკუთარი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი ჩაეცვა და ხშირად ნათხოვარი ფეხსაცმლით, კაბით ან ქულაჯით მიდიოდა საკუთარ ქორწილში, რომელიც ავადმყოფობის დროს თუ დალევდა ჩაის, ქალაქი არ ენახა, მთელ სიცოცხლეს შრომაში ატარებდა და დასვენება არ იცოდა რა იყო, ვერ წერდა და ვერ კითხულობდა, ახლა მშვენიერი საკუთარი სახლიც აქვს და კარიც, საჭმელიცა და სასმელიც, ჩასაცმელიცა და დასახურიც, ძროხაცა ჰყავს, ღორიცა და ფრინველიც, ფულიც აქვს და ისლა აწუხებს, რომ ავტოსაბურავები ვერ უშოვნია საკუთარი „ვოლგისათვის".

ახლა არათუ საბჭოთა ხალხი, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში, არამედ საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებენ ჩვენს მიღწევებს, ჩვენ მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა გრანდიოზულობას, მათს სიდიადეს.

თუ წინათ იმპერიალისტთა მესვეურები გაჰკიოდნენ, საბჭოთა ხუთწლიანი გეგმები საპნის ბუშტია, რუსულ გოლიათს თიხის ფეხები აქვს და სწრაფად დაინგრევაო, საბჭოთა სახელმწიფო ჩქარა დაირღვევაო, ახლა დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტიის სიტყვა მტკიცეა, რომ ჩვენი დღევანდელი გეგმა ხვალინდელი სინამდვილეა, რომ საბჭოთა კავშირი ნამდვილად მიდის გიგანტური ნაბიჯებით თავისი სანუკვარი მიზნისაკენ.

და მართლაც, თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის—საბჭოთა საქართველოს ყოველი წელი არ გაუტოლდა ძველი საქართველოს მთელ საუკუნეს?

ახლა ჩვენი რესპუბლიკა თითქმის დღენახევარში გამოიმუშავებს იმდენ ელექტროენერგიას, ყოველ ცხრა დღეში იღებს იმდენ ქვანახშირს, რამდენსაც საქართველო საბჭოთა ხელისუფლებამდე მთელი წლის მანძილზე აწარმოებდა. სად აწარმოებდნენ წინათ ჩვენში ფოლადსა და თუჯს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და მრავალი სახეობის მანქანებს, ელექტრომავლებსა და ავტომობილებს, უზუსტეს ხელსაწყოებს, სასუქებსა და ხელოვნურ ბოჭკოებს, ცემენტს, შიფერსა და მძიმე მრეწველობის მრავალ სხვა პროდუქციას? ჩაის, ღვინის, შამპანურის, კონსერვების, ქსოვილების, ფეხსაცმლის, ავეჯისა და მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა პროდუქტების ისეთ ასორტიმენტს, როგორც დღეს? ჩვენ ახლა მათ ვაწარმოებთ იმდენს, რომ რამდენიმე ასეულჯერ და ზოგჯერ ათასჯერაც აღემატება პროდუქციის გამოშვების რევოლუციამდელ დონეს.

ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი რამდენიმე წელი. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის გამოშვების საერთო დონე 15 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 პროცენტისა. საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის შემდგომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში აშენდა 23 ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის სამი გამამდიდრებელი ფაბრიკა ჭიათურაში, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა ქუთაისში, ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური და სხვები.

უდიდესი მოვლენა იყო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მძლავრ მილსაგლინავ დგან „400"-ის სრული ავტომატიზაცია. გასულ წელს საწარმოო პროცესები მექანიზებულ და ნაწილობრივ ავტომატიზებულ იქნა 52 ჩაის ფაბრიკაში. ამით მათი სამრეწველო სიმძლავრე 50 პროცენტით გაიზარდა. ასეთი სიმძლავრისათვის საჭირო იქნებოდა 28 მილიონ მანეთად ღირებული 26 ახალი ჩაის ფაბრიკის აშენება, რეკონსტრუქცია კი 8,7 მილიონი მანეთი დაჯდა. 1961 წელს გამოშვებულ იქნა 38 პროცენტით მეტი მძლავრი სამაგისტრალო ელმავლები, 20 პროცენტით მეტი შიფერი, 44 პროცენტით მეტი რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, 22 პროცენტით მეტი მინერალური სასუქები, ვიდრე 1960 წელს. გარდა ამისა დიდი გადაჭარბებით შესრულდა ფოლადის, თუჯის, ნაგლინის, მარგანეცის, მადნის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის, ქსოვილების, ავეჯის, შაქრის, საკონდიტრო ნაწარმისა და მრავალი სხვა სამრეწველო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმები.

სულ რესპუბლიკის მრეწველობამ 1961 წელს საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 102 პროცენტით შეასრულა, რაც 1960 წლის დონეს 5 პროცენტით აღემატება. 1927-1928 წლებში საქართველოში გამოშვებული იყო სულ 120 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 1961 წელს 1960 წელთან შედარებით შალეულის გამოშვება მხოლოდ 3 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ეს 3 პროცენტი დღეს 152 ათას მეტრზე მეტ შალის ქსოვილს უდრის. როგორც ვხედავთ, ერთი წლის მატება ახლა 1927-1928 წლებში გამოშვებული შალის ქსოვილების რაოდენობას აღემატება. აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება 1961 წელს წინა წელთან შედარებით მხოლოდ 0,2 პროცენტით გაიზარდა. ეს 0,2 პროცენტი დღეს 40.000 მეტრ აბრეშუმის ქსოვილს უდრის. 1927-1928 წლებში კი გამოშვებული იყო სულ 60.000 მეტრი.

საქართველოს მრეწველობა ახლა უშვებს მრავალი სახეობის პროდუქციას, რომლის რაოდენობა ხშირად ბევრად სჭარბობს ზოგი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მიერ გამოშვებულ იმავე სახეობის პროდუქციას. მაგალითად, საქართველოში ახლა ყოველ სულ მოსახლეზე მეტი თუჯი მზადდება, ვიდრე იტალიაში, 1,3-ჯერ მეტი ცემენტი, ვიდრე იაპონიაში, და 1,2-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში, 9-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე თურქეთში, რომელიც თავისი ტერიტორიით თერთმეტჯერ აღემატება საქართველოს. უკვე მიმდინარე წელს საქართველო გამოუშვებს გაცილებით მეტ მძიმე სამაგისტრალო ელექტრომავალს, ვიდრე საფრანგეთი, სადაც მრეწველობის ეს დარგი დიდი ხანია განვითარებულია.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებული მიღწევები. ახლა ჩვენს რესპუბლიკას მოჰყავს მთელ საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტი, ციტრუსების — 98 პროცენტი. საქართველო მაღალხარისხოვანი ღვინოების, ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის, ეთერზეთოვანი და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ შექმნა ყველა პირობა ხალხის მატერიალური დონის ასამაღლებლად. ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად იმკის იმის ნაყოფს, რაც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იყო დათესილი ჩვენს ქვეყანაში ამ წლების მანძილზე, სულ უფრო ფართოდ სარგებლობს იმ დაუშრეტელი შესაძლებლობებით, რომლებიც თვით ჩვენი სოციალისტური წყობის წიაღშია. ამის შედეგად ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურული დონეც. ამჟამად საქართველო უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში — ჩვენში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 38 პირი უმაღლესი განათლებით, 166 მოსწავლე — სამჯერ მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1913 წელს მთელ საქართველოში ერთი ექიმი 7.400, ხოლო სოფელში — 63 ათას მცხოვრებს ემსახურებოდა. ახლა კი ერთი ექიმი მოდის 800 მცხოვრებზე, მაშინ როცა შეერთებულ შტატებში ერთი ექიმი მოდის 1.000 მცხოვრებზე.

დიდია ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, მაგრამ უფრო გრანდიოზულია მომავლის ამოცანები. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში — 1961-1980 წლებში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ 1961 წელს კაპიტალდაბანდებათა რაოდენობამ საქართველოში დაახლოებით 284 მილიონი მანეთი შეადგინა, 1961-1970 წლებში საშუალოდ 500 მილიონ მანეთს მიაღწევს წელიწადში, ხოლო შემდგომ ათწლეულში ამასაც გადააჭარბებს. 1980 წლისათვის საქართველოში გამომუშავებულ იქნება 33 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც თითქმის 9-ჯერ მეტი იქნება 1960 წელთან შედარებით და 1.650-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. მარტო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე — 1.630 ათასი კილოვატი — ორჯერ მეტი იქნება ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეზე, ხოლო თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის სიმძლავრე იქნება 600 ათასი კილოვატი. მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება 40-ჯერ გაიზრდება. გადიდდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფეროშენადნობთა წარმოება. აშენდება ახალი სარწყავი სისტემები, ამოშრება ათასობით ჰექტარი დაჭაობებული მიწა. გაშენდება ათასობით ჰექტარი ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, გაიზრდება მეცხოველეობის სულადობა, სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება მომავალ ათწლეულში 1.600 მილიონ მანეთს მიაღწევს ნაცვლად 1959 წლის 690 მილიონი მანეთისა, ამასთან საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციისა — 1.165 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1959 წლის 883 მილიონი მანეთისა.

დიდი მიღწევებით ეგებებიან რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა საქართველოს 41-ე წლისთავს. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალ საჩუქრებს უმზადებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს, რაც მიმდინარე წლის მარტში გაიმართება. უკვე დამთავრდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. ქართველმა ხალხმა საბჭოთა პარლამენტში დაასახელა თავისი მოწინავე, საუკეთესო ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ეჭვი არ არის, რომ მომავალ არჩევნებში ქართველი ხალხი, ისე როგორც ყოველთვის, ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ქართველი ხალხი შემოქმედებითად ემზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად, რომელიც 5 მარტს გაიმართება. ეს პლენუმი, ისევე როგორც ჩვენი პარტიის უკანასკნელ წლებში გამართული პლენუმები, დასახავს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსახლეობის კვების პროდუქტებითა და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს.

ქართველი ხალხი კვლავაც თავდადებით იშრომებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

დღეს ჩვენს საბჭოთა საქართველოს 41 წელი შეუსრულდა

სახელოვანი წლისთავი

საზეიმო სხდომა თბილისში

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 41-ე წლისთავისადმი.

სადღესასწაულოდ მორთულ სცენის სიღრმეში დროშებს შორის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტია. ოქროსფრად ელვარებს ციფრი „41". სცენის ზემოთ ტრანსპარანტია სიტყვებით: „მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ".

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩენკო, ი. გ. როველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია** და სხვები.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე** საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს. ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსან მქსოველს, კომუნისტური შრომის დამკვრელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, **თ. ლაღაძეს.**

— საქართველოს მშრომელებთან ერთად რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 41-ე წლისთავს საზეიმოდ აღნიშნავს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა მოძმე ხალხი, — ამბობს იგი. ყველანი ჩვენ მოწმენი ვართ გრანდიოზული გარდაქმნებისა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა. საბჭოთა ხელისუფლების მზის ქვეშ წინათ ჩამორჩენილი საქართველო გადაიქცა განვითარებული მრეწველობის, მოწინავე სოფლის მეურნეობის, დიდად განვითარებული კულტურის რესპუბლიკად. ამით ნათლად გამოვლინდა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალა. ამხ. ლაღაძე ლაპარაკობს ნამდვილად სახალხო საბჭოთა დემოკრატიაზე, იმაზე, რომ მარტო ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი, რომ მას, უბრალო მქსოველ მუშას აღმოუჩინეს ასეთი ნდობა და დაასახელეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად.

ტრიბუნაზეა ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი **გ. მელიქიშვილი.**

— საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, — ამბობს ორატორი, — საქართველო გახდა მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკა, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობით ათას კაცზე მას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ქართველი მეცნიერები გამოვიდნენ მსოფლიო მეცნიერების მოწინავე მიჯნებზე. მათი სახელები ცნობილია შორს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

სიტყვას ამბობს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი **თ. სტეპჩენკო.** ოლქის მეომართა სახელით იგი ულოცავს შეკრებილთ, მთელ ქართველ ხალხს სახელოვან წლისთავს. აღუთქვამს, რომ საბჭოთა მეომრები კვლავაც სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, ფხიზლად იდგებიან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა **ა. კაკულიამ** თქვა:

— სასიხარულოა ცხოვრობდე ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კეთდება ადამიანის საკეთილდღეოდ, მისი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ დასახა ნათელი მომავლის აშენების დიდებული პროგრამა. სწორედ ჩვენ, ახალგაზრდებმა უნდა ავაშენოთ საკუთარი ხელით კომუნიზმის შენობა. ახალგაზრდობა ამაყობს ამ საპატიო დავალებით და ყველაფერს გააკეთებს, რომ პირნათლად შეასრულოს იგი.

— ჩვენი დღესასწაული, — ამბობს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი,** — ემთხვევა დიდ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას მთელი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ყველა ხალხის სასიხარულო დღესასწაულს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. არჩევნებისათვის მზადებამ მასების ახალი ენერგია და შემოქმედებითი ინიციატივა გამოიწვია.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა **მ. ჯაფარიძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებას.

სხდომა დახურულად ცხადდება. საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქტაგი).

ახალგაზრდებო, არჩევნებზე!



საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ჩვენი ქვეყნის ყველა ახალგაზრდა ამომრჩეველს შრომასა და სწავლაში ახალი შესანიშნავი წარმატებებით შეხვდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, თავისი ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

18 მარტს ხმას მივცემთ მთელ ხალხთან ერთად კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი კავშირის სასარგებლოდ — ნათქვამია მიმართვაში, ახალგაზრდა თაობა ხმას მისცემს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას, სამშობლოს ძლიერების შემდგომ ზრდას, საბჭოთა დემოკრატიის ზეიმს, კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, თავის ნათელ მომავალს,

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი

24 თებერვალს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია **მ. მ. ლელაშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნებად არჩეული არიან **ვ. დ. ლოლობერიძე** და **დ. მ. იოსელიანი.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად პლენუმმა აირჩია **ი. ს. ავალიანი, ა. ნ. ამბარცუმიანი, ნ. გ. გომელაური, დ. მ. იოსელიანი, ა. პ. კრილოვი, მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჟორჟოლაძე, ე. მ. ლავთაძე, ვ. დ. ლოლობერიძე, ა. ვ. ძამაშვილი, გ. კ. ძიძიგური, ი. დ. ჭუმბურიძე, მ. ი. ჯაში, გ. ა. ჯოხთაბერიძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ **გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, მ. ი. კუჭავა, ი. გ. როველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია.**

* * *

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ს. ტრაპაიძე.**

(საქტაგი).

მამა შირაქის შვილნი

ნარკვევი

სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია

ხალხის რჩეული — დეპუტატობის კანდიდატი

პავლე ნათობიშვილი მძიმედ დაჭრილი იწვა ტახტზე. ტყეში ხეტიალის დროს ჭრილობა გახსნოდა და შეუძლოდ იყო.

ქოხში სიჩუმე სუფევდა. სარკმელში იჭყიტებოდა მთვარე და ზედ საწოლზე აფრქვევდა ოდნავ მკრთალ სხივებს. სისხლი ბლომად დაეკარგოდა, დასუსტებული პარტიზანი პირაღმა იწვა, ფიქრებს გაეტაცა მისი გონება. ეძინებოდა მაგრამ თვალის დახუჭვისა ეშინოდა, მაშინათვე მგლებივით დაესეოდნენ სიზმრები.

„ღმერთო ჩემო, რით დამთავრდება ყოველივე ეს?! ნუ თუ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეტრიალდება!“ — გაიფიქრა პავლემ, წამოდგა, სასთუმალიდან რევოლვერი გამოიღო...

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო...,

ტკბილად დაიღიღინა და თითქოს მუხლში ძალა მიეცაო, ქოხის კარი გააღო, ფერდობებს აღევნებულ ტანმაღალ ხეებს ჩაუარა. ქოხის გვერდით ოდნავ დავაკებაზე მუხის უზარმაზარი თავკომბალა ჩრდილი დევივით იყო გაწოლილი და ნიავის ყოველ დაქროლებაზე ვეება კალთებს აფარფატებდა.

უცებ მთვარის სხივები გაფერმკრთალდნენ, თვალსა და ხელს შუა გაქრა ხის ჩრდილი, ქოხი შავმა საბურველმა დაფარა. ნათობიშვილმა მაღლა აიხედა, ღრუბლის პატარა ნაგლეჯი გზად წამოსწეოდა მნათობს და აწვალებდა.

— აი, შე ბრიყვო, შენა! რა ცერცეტი გული გქონია? აქაო და შავი ვარო, სინათლეს ეჭიდები?! ჰაი, შე წყლის ბუშტო, შენა, რათ არ იცი, რომ შენივე თავხედობა მოგიღებს ბოლოს.

მთვარემ თითქოს ისმინაო პავლეს სიტყვები, ჯერ ღრუბელს კალთები შეახია, შემდეგ მკერდი ისრებით დაუსერა, ბოლოს შიგ გულში ჰკრა სინათლის შუბი და მთლად ნაფლეთებად აქცია. კვლავ ვერცხლის სამოსელში გაეხვია პატარა ქოხი, მუხის ვეება ჩრდილი ისევ გაწვა ტყეში. პავლემ ულვაშებში ჩაიღიმა. მთვარისა და ღრუბლის ჭიდილში ცხოვრების სინამდვილე, მისი ურყევი კანონები შეიცნო. „ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“ — ამაყად თქვა ნათობიშვილმა, ჭრილობას არ შეეპუა, პირდაპირ გაჰყვა ხევისაკენ მიმავალ ბილიკს...

თენდებოდა როცა სოფელში ცეცხლი გაუჩნდა ფაშისტების ტყვია-წამლის საწყობს, ნაღმმა ზედ ხიდთან გადააბრუნა ორთქლმავალი და მტრის ეშელონი ხეობაში ჩაილეწა...

ხალხის მრისხანებას ბუნებამაც მხარი აუწყო. მზეს ისეთი ქარიშხალი ამოყვა, რომ იმ დღეს სოფელში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა... სანგრებად გადათხრილ, გავერანებულ ბაღში, ორიოდე დღის წინათ ყვავილები და ხეივნები ადამიანის თვალსა და გულს რომ ატკბობდა, ქარმა ტოტები შეალეწა არყის ხეს, შემდეგ ხეობისაკენ გრიალით გაექანა. გზაზე სკოლის შენობას თუნუქის სახურავი ააგლიჯა, ჰაერში ფოთოლივით შეათამაშა და სოფლის განაპირას მაღალი ძაბვის მავთულებს ზედ ბოძთან მიანარცხა. იელვა, ნაპერწკლებად იქცა თუნუქის ნაჭერი და ჰაერში მიმოიფანტა. მავთულებმა მოზღვავებულ ცეცხლს ვერ გაუძლეს, ზუზუნი შეწყვიტეს, დაიკლაკნენ და დაეშვნენ დედამიწაზე.

მზემ მაღლა აიწია, ქარიშხალი მაინც უტევდა არემარეს, ხვეტავდა, ჰაერში იტაცებდა ქვასა და ღორღს, ხეობას მტვრით აბნელებდა.

— ჰაი დედასა, ვერანებო! — გაისმა ხმა და როცა უკუქცეულმა ქარმა მტვერი გაფანტა, გამოჩნდა სახედაჟეჟილი პავლე ნათობიშვილი, რომელსაც ფეხდაფეხ მისდევდა ავტომატმომარჯვებული ორი ფაშისტი.

პავლე დინჯად მიაბიჯებდა... ყოველი ნანგრევი, გადათხრილი მიწა, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხე გულს უკლავდა, სევდას ჰგვრიდა.

— ჰაი დედასა! ერთხელ კიდევ გაიფიქრა ნათობიშვილმა და სახეზე ხელი მოისვა. ზედ ლოყაზე სისხლის წვეთები შედედებულიყო, დაჟეჟილი კანი თანდათან უშავდებოდა, მარჯვენა ყურთან ნაჭრილობევიდან ჯერ კიდევ ჟონავდა თბილი სისხლი.

ქარმა კვლავ დაუბერა, თითქოს მტარვალთა უნამუსობისა შერცხვაო, ახვეტა ქვა და ღორღი, ჩამოაბნელა გზა და ხეობა.

ისევ გაიწმინდა გზა, ისევ განათდა. გულმკერდჩალეწილმა ტანკმა, ხევში უმოწყალოდ რომ ჩაექოლა ხელყუმბარებს, პავლე ნათობიშვილს თავისი ტრაქტორი გაახსენა, ოცნებამ კარპატიდან მშობლიურ სოფელში — ზემო ქედში გადააქროლა. შირაქის ველი და მოდუდუნე ალაზანი გაცოცხლდნენ მკერდდასისხლიანებული პარტიზანის თვალწინ.

სერზე გუგუნით გადმოეშვა მისი „ხოლტი“, სერგო ორჯონიკიძემ ზემო ქედის კომუნას რომ შეაძენინა. კობა ჩოხელმა ჩააბარა იგი პირველ ქართველ ტრაქტორისტებს — პავლე ნათობიშვილს, ვასილ ქავთარაძეს და უთხრა: აჰა, ბურთი და მოედანი... დასაბამიდან იწვა და ამას ელოდა შირაქის ველი... შეესიეთ ვაჟკაცებო მადლიან მიწას, გადააბრუნეთ შავი ბელტები ადამიანის გული გაახარეთო...

ახსენდება ნათობიშვილს ზედ არხილოსკალოსთან, ნაპურალში ტრაქტორმა რომ წაიბორძიკა, შემდეგ ამოახველა, კვამლი ამოუშვა და წინ ვერ წაიწია...

არა, ტრაქტორი წინ როგორ ვერ წაიწევდა, მუხლი მგლისა აქვს... მაგრამ პავლეს გულმა უგრძნო, რომ გუთანი რაღაც ნივთს წამოედო...

ბელტისთავთან ღრმად მიწაში ქართული გორდა ესვენა...

ტრაქტორისტი დაიხარა, შავი ბელტი სულ ხელით დაფშვნა, ხმალი გამოიღო... იგი შუაში იყო გადამტყდარი..., თუმცა ჟანგი მოკიდებოდა, მაგრამ მიწას მაინც ვერ შეეჭამა ქართული ფოლადი... ბევრი ეძია ტრაქტორისტმა, სულ მოთხარა იქაურობა, მაგრამ ვერ ნახა ხმლის მეორე ნახევარი...

არხილოსკალო გაახსენდა პავლე ნათობიშვილს... ვინ იცის იქნებ აქ, ამ მადლიან მიწაზე იყო ის კალო, რომელზეც შემოსეულმა ურჯულოებმა პურის წილ ჩვილი ბავშვები გალეწეს... აბა რა მოათმენინებდა ამ ხმლის პატრონს... გადამტყდარა ეს დალოცვილი უთანასწორო ბრძოლაში, თორემ ვაი, თქვენ, ყვავებო, ვერ დაიჩხავლებდით ალაზნის პირას...

აი აქ, ამ შენობაში „მოინათლა“ საქართველოში ერთ-ერთი პირველი — სოფელ ზემო ქედის კომუნა.

ტრაქტორისტმა ხმალი უბეში ჩაიდო. ცივად კი არა, მეტად მხურვალედ მოეჩვენა მამაპაპათა ნაწრთობი რვალი. შემდეგ მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, აგუგუნა რკინის ხარი, ბელტი ბელტზე გადააწვინა და წარსულის ჭირ-ვარამი რომ გაეფანტა, გუთნისდედური წამოიწყო.

პავლე ნათობიშვილი ახლაც, ფაშისტებს სახრჩობელასაკენ რომ მიჰყავდათ ხელებშეკრული, გუთნისდედურს მღეროდა, მღეროდა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანი და მტრის ჯიბრზე ერთხელაც არ დაუკვნესია...

სამამულო ომში ზემოქედელი ვაჟკაცების გმირობის ამბავს ყველაზე უწინ კობა ჩოხელი იგებდა. მას უამრავი წერილები და დეპეშები მოსდიოდა. ერთი მათგანი პავლე ნათობიშვილის გმირულად დაღუპვის ამბავს იტყობინებოდა. ეს მართლა გმირი კაცი თავიდანვე კობას მარჯვენა ხელი იყო — ახლადდაბადებული კომუნის პირველი მექანიზატორი. მაშინ მხოლოდ ერთი „ხოლტი“ ეწეოდა „აგიტაციას“ შირაქის თვალუწვდენ ველზე. თითქოს უზარმაზარ ოკეანეში პატარა იალქნიანი ნავი შეაცურესო, ისე წერტილივით იჯდა ეს რკინის ხარი ამ ვრცელ მადლიან მიწაზე... ეს იყო ნამდვილად პირველი მერცხალი, შირაქის ველის დიადი მომავლის მახარობელი, ჩვენი სამშობლოს დიდი გაზაფხულის შემობრძანების ნათელი მეკვლე.

ერთხელ საშა გეგეჭკორი ზემო ქედის კომუნის თავკაცს კობა ჩოხელს ეწვია. ნახნავ-ნათესი მიწები სულ ფეხით შემოიარეს. კობამ კომუნის შინაგანაწესი, რომელსაც სოფელში „ქედის კანონს“ ეძახდნენ, გულდასმით წააკითხა რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს. ბევრი იდავეს. „ქედის კანონში“ ორი ახირებული მუხლი იყო. პირველი: „დაინგრეს ყველა გლეხის ქოხი მიუხედავად მათი სურვილისა, სამაგიეროდ მიეცეს მათ ახალი ოთახები კომუნის სასახლეში“. მეორე: „ვინც კომუნის ოჯახში და-ძმობის კანონს დაარღვევს, დახვრეტილ იქნას“.

კობა ჩოხელმა მაინც თავისი გაიტანა. „ქედის კანონში“ კომუნის წევრთა სურვილით ორივე მუხლი უცვლელად დარჩა.

როცა კობა ჩოხელი ამ ამბავს გიყვებათ, აუცილებლად გაიხსენებს იმ სახელოვან დღეებს, როცა საქართველოს მშრომელები თავგანწირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

გაიხსენებს იმ დროშას, რომელიც ასე ლაღად მოჰქონდათ ქართველ მშრომელებს სამშობლო ქვეყნის სადიდებლად.

გაიხსენებს სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც თბილისის თავზეააფრიალა ოქტომბრის დროშა და ხალხს მიულოცა დიდი გამარჯვება.

— მას შემდეგ ორმოცდაერთმა წელმა განვლო — ამბობს კობა ჩოხელი... თითქოს გუშინ იყო, ისე მიდგას თვალწინ ყოველივე... ბრძოლა, თავგანწირვა, გამარჯვება, შემდეგ შრომა, ათასი წამოწყებები, სიხარული, სილაღე, აღფრთოვანება... კვლავ ომი... სამშობლოს დიდებისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვა, ცრემლი და ოცნება... მერე ისევ გამარჯვება, მიღწევები, შემოქმედებითი შრომა... ზედიზედ მოპოვებული წარმატებები... ნათელი მომავლის პირველი შუქურების გამოჩენა და ათასი სხვა სიხარული...

დავბერდი... არა, ხანი მაქვს დიდი თორემ გული ჯეელივით მერჩის, ალაზნის ველზე, შირაქში შრომა და ჯაფა, იალაღებზე გაჯირითება სიცოცხლედ მიღირს... სულ ამის ბრალია, დიახ, არსენა კობაიძის ბრალია, ჩემი გაზრდილი მაინც არ იყოს — ნაამაგარი კაცი ხარ დაისვენეო — პირი მომითაფლა და იმაზე კი არ ფიქრობს გაძლებს თუ არა კობა ჩოხელი უშირაქოთ — სიცილით ამბობს ზემო ქედში ყველაზე პატივცემული კაცი და იქვე გულახდილად დასძენს:

ჩვენ შორის დარჩეს და ჩვენმა არსენამ არა მარტო თავმჯდომარეობა წამართვა, არამედ სახელიც. ადგა და თავის ვაჟკაცს კობა შეარქვა. არც ახლა ტყდება. ამბობს, ჩვენი გვარის ხალხს სახელი კობა ოდითვე უყვარდაო. მაგრამ არა, ვიცი რა ფრინველიც არის, ვიცი, რატომ უწოდა ეს სახელი თავის ვაჟიშვილს.

იღიმება კობა ჩოხელი. უხარია, რომ მისი დაწყებული საქმე ასე ალმა მიდის, ასე მარჯვედ შლის ფრთებს სოფელი და კოლმეურნეობა, ასე იზრდება, ფართოვდება, მშვენდება სოფელი ზემო ქედი მისივე გამოზრდილი ვაჟკაცის არსენ კობაიძის ხელმძღვანელობით.

უხარია ნამაგარ კაცს, იღიმება და ამბობს:

— გული მეძახის შვილებო, თორემ ახლა შვილიშვილებს ზღაპარს თუ მოვუყვები, მეტი რა შემიძლია. არა, როგორ არ შემიძლია, შენს გახარებას არსენ კობაიძე, შარშან ხომ კარგად დაგეხმარეთ პირუტყვის დაბინავებაში, წყლის გაყვანაშიც ხომ მიმიძღვის შრომა, ახალ კანტორას რომ აშენებდი, ხომ გითხარი ეს ბდღვილი აჯობებს მეთქი. არა, არც ისეა საქმე, კობას კიდევ შეუძლია თავისი ხელით ჩაიცვას ჩოხა-ახალუხი, თუ გაჭირდა ტყვიას ნატყვიარში მოახვედრებს.

კობა ყვება... ზღაპარს კი არა, სინამდვილეს...

კომუნის პირველი კანონი ყველამ სიხარულით როდი მიიღო. კობა ჩოხელი თვითნებობს, სახლებს გვინგრევს, დაგვეხმარეთ — მიმართეს ზოგიერთმა საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს. ფილიპემ მოუს[illegible] ხადებაზე წააწერა: „ამხ. კობა ჩოხელს! თა[illegible] ფოდ დაუბრუნეთ ბინები განმცხადებლებს.

თავზარი დამეცა, — განაგრძობს საუბა[illegible] კომუნის კანონი, ეს ნიშნავს დაიღუპოს ყვე[illegible] და გაქრება ჩემი ავტორიტეტი... არა და ვიცი: ფილიპე მახარაძის სიტყვა კანონია. ვიფიქრე, ავწონ-დავწონე ყველაფერი, მერე ავიღე განცხადება და დავაწერე: „ვინაიდან რეზოლუცია კომუნის კანონს ეწინააღმდეგება, უარი ეთქვას. კობა ჩოხელი“.

დავწერე, დავუძახე მასწავლებელს და განცხადება საქმეში ჩავაკერებინე, ხოლო მთხოვნელები დავითხოვე.

მეგონა ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, ახირებულ მეზობლებს დავაშინებდი, მაგრამ მოვტყუვდი. ჩემი რეზოლუცია იმ საღამოსვე გააგებინეს ფილიპე მახარაძეს. რომ იტყვიან შავი დღე დამადგა, მაგრამ ისევ სერგო ორჯონიკიძემ და საშა გეგეჭკორმა მიხსნეს. მომჩივანთა ქოხები კვლავ ამაშენებინეს და ფილიპეს რისხვაც ამარიდეს.

მეორედაც აღმოვჩნდი მეტად მძიმე მდგომარეობაში. კომუნის კანონის მეორე მუხლი დაარღვია ერთმა ჭაბუკმა და გოგონამ. ისინი გაბაწრული მოიყვანეს და კომუნის სასამართლოს გადასცეს.

თავში ხელი შემოვირტყი. დავხვრიტო ახალგაზრდები — რა უფლებით, არ დავხვრიტო და გათავდა, კომუნაში საერთო ცხოვრების წესი და რიგი მოიშლება. მთელი ღამე არ მეძინა. გათენდა, მოვიწვიე კომუნის სამი უხუცესი წევრი, მეტად სანდო ადამიანები. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ. მე როგორც მთავარ მსაჯულს, აუცილებლად უნდა გამომეტანა დახვრეტის განაჩენი, ხოლო შემდეგ სამ უხუცესს ეთხოვათ ჩემთვის შებრალება.

ასეც მოხდა. სასამართლო პროცესი მოეწყო. ორივე დამნაშავეს სიკვდილით დასჯა გამოვუტანეთ, მერე სამი მოხუცისა და კომუნის ყველა წევრთა თხოვნით ბრალდებულებს უმაღლესი სასჯელი შევუცვალეთ სოფლიდან საუდამოდ განდევნით.

ამის შემდეგ კომუნის კანონის მეორე მუხლი არავის არ დაურღვევია.

პირველად გაერთიანებული ვიყავით სულ ორმოცდაათი ოჯახი. ყველა ოჯახს ჰქონდა საკუთარი ოთახები. შრომა განაწილებული იყო. ყველა იმას აკეთებდა, რისი უნარი და ღონეც შესწევდა. შემოსავალი არ ნაწილდებოდა. ყველაფერი ერთ ბეღელში იყრებოდა, სალაროც ერთი გვქონდა. უფასო იყო საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი, კომუნალური მომსახურება, გართობა. ფული კომუნის წევრს მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, როცა სადმე სტუმრად ან სასეირნოდ მიდიოდა.

ჩვენმა კომუნამ 1934 წლამდე იარსება.

ახლა სათქმელად ადვილია, მაგრამ იმ რვა წლის მანძილზე ჩვენ ბევრი სიძნელე გადავლახეთ. ვგავდით ოკეანეში შეცურებულ პატარა გემს, რომელსაც მოტორიც აქვს და თვითმფრინავის პროპელერიც, მაგრამ არც ზღვაში საცურავად არის მზად და არც ჰაერში გასაფრენად. ბევრს ვცდილობდით, რა არ გამოვიგონეთ, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით, რომ კომუნა ნაადრევი წამოწყება იყო. ხაზი გადაუსვით „კომუნის კანონს“ და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას დავემორჩილეთ — დავაარსეთ ზემო ქედის კოლმეურნეობა.

თავმჯდომარეთ ისევ მე ამირჩიეს, ვზიდე ეს ტვირთი 1948 წლამდე და როცა სიბერე მხრებზე შემომაჯდა, არსენ კობაიძეს მივულოცე სოფლის თავკაცობა.

კომუნა რომ დავაარსეთ ეს ჭაბუკი 9 წლისა იყო. სკოლაში სწავლობდა, კარგი დედ-მამის შვილია. მის მშობლებს მაშოსა და ალექსის ერთი ქალიშვილი და ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდათ, ადრე დაქვრივებულმა დედამ ექსივე შვილი ვაჟკაცურად გამოზარდა. დაიწყო სამამულო ომი, ხუთივე ვაჟკაცი ფრონტზე წავიდა, ოთხი გმირულად დაეცა სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლაში, მხოლოდ ერთი —ეს ჩვენი არსენა დაბრუნდა გამარჯვებული.

ასეა, სამშობლოს დაძახილზე საქართველოში ოდითვე ქუდზე კაცი გამოდიოდა. ჩვენს კომუნაში გამოჩეკილი ასობით ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე და იქიდან ბევრი არ დაბრუნებულა, მაგრამ მათი ცხელი გული აქ ფეთქავს, მათი სახელი ჩვენი სოფლის დაუვიწყარ შვილთა წიგნშია ჩაწერილი.

შარშან შირაქის ველი წყალმოწყურებული იყო. ვერ იქნა და ცამ-პირი ვერ გახსნა, დედამიწისათვის წვეთი წვიმა არ გაიღო. არც წელს მოუხურავს თოვლის საბანი ამ უხვმოსავლიან ველ-მინდვრებს. ჩაფიქრებულან სოფლის თავკაცები, ბჭობენ, ეძებენ გამოსავალს... მეურნეობის ერთ დარგს მეორეთი ცვლიან, ერთმა თუ გვიმტყუნა ეგებ მეორემ კარგი შედეგი მოგვცესო.

კობა ჩოხელმა ყველაზე უკეთ იცის თუ რას ნიშნავს გვალვა შირაქის ველზე და წუხს. შარშან რა მადლიანად დამუშავებულმა მიწებმა გვიღალატა, — ამბობს იგი, — ხორბალს თავიდან ისეთი პირი უჩანდა, ისე მწვანედ ღელავდა, იტყოდით რა მიწამ გშობაო, შემდეგ მზემ ცეცხლი შეუნთო, გააყვითლა, გადაწვა და გადახრუკა. წელს მაინც ჩამოყრიდეს იმ ტიალ თოვლსა.

— ასეთი ამინდები წინათაც იყო, ბატონო, — ამბობს ზემო ქედის ცოცხალი მემატიანე ჭაღარითმოსილი სიმონ ჩოხელი. თოვლი კი არა ზამთარში პერანგისამარა ბევრჯერ მივლია. არცა ვწუხდით. მაშინ ხორბალი აქა-იქ გვეთესა, უმეტესად ალაზნის პირას სარწყავებში. შირაქში ძროხები გვყავდა, აქეთ ცხვრის ფარას ვმწყემსავდით... მაშინ გამოითქვა სიმღერა.

შირაქში ერთმა მეცხვარემ
სიზმარი ნახა...

სიზმარს კარგს ვხედავდით, ცხადად კი ჩვენი არაფერი არ იყო. შეხედე კაცო, ამხელა მიწას კავით რა დაამუშავებდა, ახლა მე და ჩემმა ღმერთმა, ტრაქტორები დაგუგუნებენ. წინათ ხორბალი რომ დაგვეფქვა, ორი დღე რიგში უნდა ვმდგარიყავით ალაზნის პირას, ახლა აგერ სოფლის გულში ჩვენმა არსენამ ისეთი წისქვილი აგვიშენა, მგონი ქალაქსაც არა აქვს სულ ახარისხებს და ისე ფქვავს. მზესუმზირას წინათაც ვთესავდით, მაგრამ აქვე ზეთსაც თუ გამოვხდიდით, არ მეგონა. ახლა კომბაინს არ იკითხავთ?! მერე და იცით რამდენი გვაქვს? ოცდათხუთმეტი. ზოგი ხორბალს იღებს, ზოგი სიმინდს და რა ვიცი კიდევ რას არ აკეთებენ ჩვენი ბიჭები.

ალბათ სოფელზეც შემეკითხებით. თუმცა რა შეკითხვა უნდა გადახედეთ და ნახავთ რა ლამაზია. ქუჩები ლარივით გაჭიმულა.

ყოველთვის სიამოვნებით ესაუბრება, ეთათბირება კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი არსენ კობაიძე თავის აღმზრდელს, ქედის კომუნის თავკაცს — კობა ჩოხელს.

[illegible]

ჰოდა იმას ვამბობდი, — იტყვის, ასანთს გაჰკრავს, პაპიროსს მოუკიდებს, გააბოლებს და განაგრძობს, — აქ ჩვენი ხალხი — ჩოხელები, წიკლაურები, ქავთარაძეები, ბექაურები, ბუჩუკურები, კობაიძეები, კობიაშვილები, პატაშურები 1905 წელს ჩამოსახლდნენ დუშეთის მაზრიდან.

ვაჟა იყო ჩვენი მფარველი, ჩვენი დამცველი. მახსოვს 1911 წელს დიდი დავა ატყდა მიწის განაწილების თაობაზე. მაზრის უფროსი ჩაერია საქმეში და როგორც წესი, ჩვენ მშრალზე დაგვტოვა. ასე არ გამოვაო — უთხრა ვაჟამ, ჯერ ტკბილად ესაუბრა და დაუმტკიცა ჩვენი სიმართლე, შემდეგ გაცხარდა და შეეკამათა, ამანაც რომ არ გასჭრა ის „ნაჩალნიკი“ ერთი კარგად მიტყიპა, შეაშინა და დაიყოლია.

დიდი ხვთისნიერი კაცი იყო ის სულმნათი, ისა.

იცის ბიჭმა არსენამ ეს მიწები ვაჟას ნატერფალია, ავ თვალს არ შეახედებს. მისი თავკაცობის საქმეა, სოფელში კარგი საშუალო სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა, სასადილო, მაღაზიები რომ გვაქვს...

აი სადაც არის 18 მარტიც მოვა. ის იქნება ჩვენი სოფლის დიდი დღესასწაული. მაშ როგორ, ამდენი რაიონი ჩვენს თავმჯდომარეს რომ აძლევს ხმას, არ ვიზეიმოთ? ეს მთელი სოფლის სახელია.

სიმონ ჩოხელი გულწრფელი კაცია. იმას ამბობს, რასაც გულით განიცდის. ასევე გულით ხარობს ზემო ქედის ყველა კოლმეურნე იმის გამო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად არის დასახელებული სოფლის მოამაგე არსენ კობაიძე.

ნდობით აღჭურვილმა პირმა მოკლედ ჩამოწერა არსენ კობაიძის ბიოგრაფია. ზემო ქედში ყველამ, დიდმა და პატარამ ადრეც იცოდა იგი, მაგრამ მაინც გააკრეს კლუბის შესასვლელთან.

„ამხ. კობაიძე არსენ ალექსის-ძე — ასე იწყება ბიოგრაფია, — დაიბადა 1916 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში. 1936 წელს სიღნაღის პედტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობს მასწავლებლად სოფელ ზემო ქედში. ხოლო 1938 წელს მას ირჩევენ საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივნად. ამავე წელს ა. კობაიძე მიდის საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც დაჰყო 1945 წლამდე. საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ 1946 წელს ამხანაგ ა. კობაიძეს ირჩევენ ზემო ქედის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1948 წლიდან დღემდე მუშაობს იმავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

ა. კობაიძე სკკპ წევრია 1939 წლიდან. იგი არაერთხელ არის არჩეული საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის წევრად, რაისაბჭოს დეპუტატად. არჩეული იყო აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად და სკკპ XXI ყრილობის დელეგატად.

ცისკრის ვარსკვლავი ჯერ კიდევ ცაზე ეკიდა, არსენ კობაიძე ბინიდან რომ გამოვიდა და სოფლის ფართო ქუჩას აღმა აჰყვა. სკოლასთან შეჩერდა, სადარბაზო კარი ღია მოეჩვენა, მიუახლოვდა, გულმა ვერ მოუთმინა და შევიდა. დამლაგებელი ადრე მისულიყო და საკლასო ოთახებს ალაგებდა. ყველაფერი რიგზე იყო. ახალმა, კრიალა მერხებმა, შავმა დაფამ, ფანჯრის გაკრიალებულმა მინებმა სიამაყე აგრძნობინეს სოფლის თავკაცს. წუთით ახლო წარსული მოაგონდა არსენ კობაიძეს, როცა ამ სოფელში, სწორედ ამ სკოლაში 1936 წელს პედტექნიკუმის დამთავრების შემდეგ პირველად შეაღო კარი, გაულაქავ და ზოგან საზურგეჩამოვარდნილ მერხებთან მორცხვად მდგომ გოგო-ბიჭებს მიესალმა. მასწავლებლის მაგიდას მორცხვად მიუჯდა, დასხედითო, — უთხრა მოსწავლეებს და საკლასო ჟურნალი გადაშალა.

ყველაფერი რიგზე იყო. კედელზე ეკიდა ახლადშეკეთებული დაფა, რომლისთვისაც ქვემო ჩარჩო და ერთი ფიცარი შეეცვალათ, მაგრამ შეღებვა ვერ მოესწროთ და თეთრად ქათქათებდა.

მასწავლებლის მაგიდას ზედაპირი და სამი ფეხი ახლად გამოცვლილი ქონდა. მეოთხე ფეხის მიხედვით კაცი მიხვდებოდა, რომ ეს მაგიდა ერთ დროს ურიგო არ უნდა ყოფილიყო. სკამსაც განეცადა ოპერაცია, მისი ახალი ფიცრები უხეშად გამოეჩორკნათ, მაგრამ მკვრივად შეეწებებინათ და თავკომბალა ლურსმნებით საგულდაგულოდ შეემაგრებინათ. ოთახის მარცხენა კუთხეში იდგა მაღალი საანგარიშო, რომლის მეოთხე და მეშვიდე ისრებს ორ-ორი შავი კოჭი აკლდა. უკანა კედელზე ეკიდა გაცვეთილი, მზის სხივებისაგან გახუნებული გამრავლების ტაბულა და ორიოდე სურათი.

საკლასო ოთახს სამი ფანჯარა ჰქონდა. ერთს მინები ჩალეწოდა და თხელი ფიცრით იყო ამოჭედილი. ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებში სიცივე რომ არ შეპარულიყო, მუყაო მიეწებებინათ. ერთ ადგილას ქაღალდის ნაჭერი ამძვრალიყო და ნიავის ყოველ ქროლებაზე, ზუზუნებდა.

არსენამ ჟურნალში პირველი [illegible] წამოდგა შავქოჩორა ყმაწვილი „აქა ვარ [illegible]“ [illegible] და ხელები ჩამოუშვა.

— „აქა ვარ მასწავლებელო!“ [illegible] არსენ [illegible] აგრძნობინა, რომ მის ცხოვრებაში ახალი, [illegible] მომენტი დაიწყო. იგი კარგახანს შეჰყურებდა შავთმიან ბიჭუნას, მის ლურჯ ხალათს, რომელსაც კოხტად მიკერებული ორი გულის ჯიბე და დედის ნაქარგი საყელო ამშვენებდა. არსენას მხედველობიდან არც იმ ბიჭის განიერი შარვალი გამორჩენია, რომელიც ჩექმის ყელში ჰქონდა ჩატანებული, არც საკმაოდ ფართო ღვედი, რომლის ბალთაზე სახელმწიფო ღერბი იყო ამოტვიფრული. იდგა არსენა და ხელში საკლასო ჟურნალი ეჭირა, ხმას არ იღებდა.

რა იცოდა მაშინ იმ ბიჭუნამ, რომ ეს დუმილით მოცული წუთები იყო მასწავლებლის პირველი ნათლობა, მისი მრავალფეროვანი ცხოვრების გზაზე. მაშინ არც არსენ კობაიძემ იცოდა, რომ ამ სკოლის ბედ-იღბალი, მისი გაზრდა-გაფართოება შემდგომში მისი თავკაცობის საქმე გახდებოდა.

ახლა დგას სოფელ ზემო ქედის თავკაცი არსენ კობაიძე თავისი ნამაგარის პირისპირ... ახსენდება, რა სიყვარული და აღტაცება გამოიხატა ყველა კოლმეურნის სახეზე, როცა მან საერთო კრებაზე სკოლის, კლუბის, ბიბლიოთეკის, საავადმყოფოს, საბავშვო ბაღის გაფართოება-გალამაზების ნათელი გეგმა მოხაზა. მეორე დღესვე გაჩაღდა მუშაობა. საშვილიშვილო საქმეაო, ამბობდნენ კოლმეურნეები და არაფერს არ იშურებდნენ სოფლის კულტურის კერათა ასაშენებლად და დასამშვენებლად.

ახლა ნახეთ რა მშვენიერი საკლასო ოთახებია, რა ნათელი და მზიანი... ნახეთ სასწავლო კაბინეტები, სკოლისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, ჩაიხედეთ საკლასო ჟურნალებში, როგორი ენერგიული, სწავლისმოწყურებული, საქმისმოყვარული ახალგაზრდები იზრდებიან.

ადრე კაცი ავად რომ გახდებოდა, ჯერ ექიმი უნდა ჩამოეყვანათ, შემდეგ წამლისათვის უნდა ერბინათ. ახლა სოფელს აქვს თავისი აფთიაქი, საავადმყოფო... ეს არ კმარაო, თქვეს და გადაწყვიტეს: კოლმეურნეობის კანტორა — ორსართულიანი ვეებერთელა შენობა დაუთმონ ახალ საავადმყოფოს. მას ექნება სრულყოფილი კაბინეტები, ეყოლება კვალიფიციური ექიმები მკურნალობის თითქმის ყველა დარგში.

სინათლე?! აქამდე საკუთარი პატარა ელექტროდანადგარი ემსახურებოდა სოფელს. კაცმა რომ თქვას, ადრე აკმაყოფილებდა იგი ზემო ქედის მოსახლეობის მოთხოვნილებას. უკანასკნელ წლებში ისე გაიზარდა და დამშვენდა ეს სოფელი, რომ ის ძველი სინათლის წყარო მარტო კლუბსაც არ ყოფნის. ახლა რადიოკვანძი, რადიომიმღებები, ტელევიზორები, ქარხნები: ერთი, ორი, სამი... სატრაქტორო-სარემონტო სახელოსნო... ყველა ისინი ხომ ელექტროენერგიით იკვებებიან. ჰო და ამაზეც იმსჯელეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

არსენას აღლით გადაზომილ დიდ საქმეებს პატარა ელექტროსადგური რას გასწვდებოდა, ადგა სოფელი და ჩამოყარეს ყველა ძველი მავთული, გამოცვალეს ბოძები და კანდელები. ამ დღეებში მაღალი ძაბვის დენი საზრდოს მისცემს სოფლის თავში კოხტად აღმართულ მძლავრ ტრანსფორმატორს. იქიდან კი ახალი ცხოვრების მახარობელი სინათლე მერცხალივით დაიბუდებს კოლმეურნეთა მაღალ ჭერში, მძლავრად დაატრიალებს წისქვილის დოლაბებს, ძალას შემატებს სახერხ და ავეჯ-კრამიტის ქარხნებს, მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას გამოაშვებინებს ზეთსახდელ ქარხნებს.

დგას გაკრიალებულ საკლასო ოთახში არსენ კობაიძე და ფიქრობს.

სალაშქროდ მუდამ მზად მყოფი 42 ტრაქტორი, 35 კომბაინი, 48 ავტომანქანა მოუვლის კი ჩვენს უზარმაზარ მეურნეობას — 3.277 ჰექტარ ხორბლის ნათესს, 1.500 ჰექტარ სიმინდს, 903 ჰექტარ ქერს, 550 ჰექტარ მზესუმზირას, 241 ჰექტარ ვენახს, 10 ჰექტარ ბოსტანს, 3.023 სულ მსხვილფეხა საქონელს, 13 ათას ცხვარს, 2 ათას ღორს, 20 ათას ფრთა ფრინველს?!

არა, კიდევ მეტია საჭირო — განაწესს აძლევს თავისთავს არსენ კობაიძე. არა, ეს მისი განაწესი როდია, ამას მოითხოვს 1.047 კომლის ინტერესი, მექანიზაციის სიძლიერი მოითხოვს კოლმეურნეობაში აქტიურად მომუშავე 1.856 შრომისმოყვარე ქალი და კაცი.

როგორ გაიზარდა ჩვენი სოფელი!..

ადრე აქ მასწავლებელიც, ექიმიც, აგრონომიც ქალაქიდან ჩამოსული ადამიანები იყვნენ. ახლა სკოლაში, საავადმყოფოში, საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩვენი სოფლის შვილები-სპეციალისტები მუშაობენ. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ზოოტექნიკოსი ნიკოლოზ კედელაშვილი, აგრონომი კაცილა გაგაძე, ინჟინერ-მექანიზატორი შალვა ვარძუკაშვილი, ვეტექიმები: სიმონ ქავთარაძე და მედეა ბეჟაური, ტრაქტორისტ-მექანიზატორები: ნიკოლოზ ქავთარაძე, ივანე მელიქიშვილი, ნიკოლოზ მელიქიშვილი, ვალიკო ბუბუნაშვილი, ქეთილა ყველაიძე და მრავალი სხვა.

არსენ კობაიძეს ფიქრი რადიომ გააწყვეტინა.

დიქტორი იუწყებოდა: ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს ზემო ქედის კოლმეურნეობის რადიოსატრანსლაციო კვანძი... დღეს საღამოს 9 საათზე სოფლის კლუბში მოეწყობა პიონერების შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან არსენ ალექსის-ძე კობაიძესთან. დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი სოფლის თვითმოქმედი კოლექტივის ძალებით.

კარგად გათენებული იყო... სკოლის ეზო ბავშვების ჟრიამულს გამოეღვიძებინა. არსენ კობაიძე საკლასო ოთახიდან გამოვიდა. დერეფნიდან პირდაპირ კიბეზე დაეშვა, მოსწავლეები თითქოს საპატიო ყარაულში დგანანო, ისე ჩამწკრივდნენ და მიესალმნენ სოფლის თავკაცს.

ფართო გზაზე გავიდა არსენ კობაიძე. წუთში სამმა ავტომანქანამ ჩაიქროლა, ცაზე თვითმფრინავმა წრე შემოხაზა და დასავლეთით გაუდგა გზას.

დიქტორი მესამედ იმეორებდა განცხადებას.

არსენმა შირაქის გულისაკენ გაიხედა. იქ ფართო ველზე ტრაქტორები გასულიყვნენ და გუგუნებდნენ. ფართო გზატკეცილის ხელმარჯვნივ კოპწია ეზოში ონკანი მოშვებული იყო და წყაროსწყალი ჩქეფდა.



აი აქ, ამ ახალ შენობაში შრომობს და მოღვაწეობს სოფელ ზემო ქედის მილიონერი კოლმეურნეობის გამგეობა.

„რა იქნებოდა ჩვენი სოფელი, მშრომელ ადამიანს თავისუფლება რომ არა ჰქონოდა, ეს ნათელი ცხოვრება რომ არ დაემკვიდრებინა დიდ ოქტომბერს, ლენინს, კომუნისტურ პარტიას!“ — ფიქრობდა არსენ კობაიძე.

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ახალ ბაღებს და ვენახებში, მინდვრებსა და ყანებში, მშენებლობებსა და საწარმოებში შეჩერდება იგი ასე შთაგონებით და გაიხსენებს რა იყვნენ ისინი ადრე და რა არიან ახლა.

არა, რაც გაკეთდა მაინც არ არის საკმარისი, სოფელს მეტი სჭირდება, იგი ღონიერია თუ კაცი გონიერია — იტყვის არსენ კობაიძე და ყოველ დღე რაღაც ახალს იგონებს, სოფლის, კოლმეურნეობის საკეთილდღეოდ, დაუღალავად მიჰყავს წინ სახალხო საქმე.

ამიტომ უყვართ იგი სულით და გულით თანასოფლელებს, ამიტომ ითქვა მისდამი ხალხის სიყვარულის მართალი სიტყვები წინასაარჩევნო კრებებზე.

ჩვენი არსენა ისეთია, თუ მოინდომა ალაზანს შირაქის გულში ამოიყვანსო.

ჩვენს შორის დარჩეს და ამასაც ფიქრობს არსენ კობაიძე.

ასეა როცა გული გულობს და ხალხი მოგყვება.

ასეა... ხალხის არჩევანიც ამიტომ ხვდა არსენ კობაიძეს.

ბ. თათარიშვილი.

სოფელი ზემო ქედი, თებერვალი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

კარლო კალაძე ეკუთვნის ქართველი პოეტების იმ რიცხვს, რომელთა შემოქმედებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან.

იგი ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო, 1926 წელს ლექსების პირველი წიგნი რომ გამოსცა და თავისი სიტყვა თქვა „რევოლუციის, განახლების გზით მიმავალ სამშობლოზე". პირველი ლექსი კი საბჭოთა საქართველოს დაბადების წელს — 1921 წელს დაბეჭდა.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ადამიანები — აი რას უმღერის პოეტი ამ ორმოცდაერთი წლის მანძილზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კარლო კალაძის ერთ-ერთ ახალ ლექსს მიძღვნილს საბჭოთა საქართველოსადმი.

გაზაფხულის დღეა

◆

გაზაფხულის დღეა,
გაზაფხული მოდის!
აჰა, ქართულ ოდის
აივანიც ფართო.

მკლავებგაშლით მინდა
ცაში ავიმართო:
— გაზაფხულის დღეა
გაზაფხული მოდის!

კვლავ აჭრელდა მიწა,
ნაფლეთ-ნაფლეთ ლანდებს
მზე და ქარი აქრობს,
მზე და ქარი ანთებს!

ჩემზე უმალ ფეხზე
წამომდგარან მთები,
და მკერდშიშველ კლდეებს
უკვე ზღვის წინ ვხვდები.

ბინდი რაა! ხევ-ხევ
თოვლიც დაფლეთილა
და აწ ბამბის ძაფად
იქცა ბამბის ფთილა,
გეგონება ისევ
სწრაფი ლექსის პწკარი,
ნემსის ყუნწში ისე
გარბის ხევის წყალი.

მდუმარებაც შესძრა
ხავსმოდებულ ლოდის...
გაზაფხულის დღეა,
გაზაფხული მოდის!

* * *

დასდგომია მაღლობს
ათასი წლის თელა.
ჩემი სუნთქვა ესმის,
ჩემი დელი-დელა!

დღეს თუ არა, გულო,
როდის ვნახოთ, როდის,
როგორ ფეთქავს მაჯა
დაკოჟრილი ტოტის?

ხე ბეჭების რხევით
ბაღში დგას და ეძებს
ქარით აშლილ ვაზის
ჯერ აუკრავ ლერწებს.

და ჩიორა ჩიტმაც
შეარჩია თუთის
მაღალ ორკაპ რტოზე
საძირკველი ბუდის.

ნეტავ მყავდეს ვინმე
სახლში მისი კბილა.
მოყვრებივით ახლო
ექნებოდათ ბინა.

კვარცხლბეკია ჩემი
აივანი ოდის.
გაზაფხულის დღეა,
გაზაფხული მოდის!..

* * *

ჰყრის ნაპერწკლებს ჩარხი,
გააცოცხლა ეზო.
ეკალ-ბარდებს წალდი
მინდა, ავულესო!

მიყვარს, დილით როცა
გადავხედავ მთაბარს,
როცა ასდის ორთქლი
გორებს დაბალ-დაბალს!

ხელთნაწერიც მიყვარს
ხნულდაჩენილ მიწის,
გუთნისდედა ახალ
მანქანაზე მიზის!

ჩემს ჭიშკართან, სადაც
წყალს გავუჭერ კვალი,
მოსულა და მიმზერს
ფურ-კამეჩის თვალი!

ლამაზებო, თქვენც რომ
შემოესწროთ ამ წამს,
თქვენც ინატრებთ იმის
შავ თვალსა და წამწამს!

ქათიბივით ბზინავს
მისი ნაბდისძველა,
ხელმოხვევით მოსდევს
ბიჭი ფეხშიშველა.

მშვიდობაა ირგვლივ
და გულისთქმა მშვიდი,
სიყვარულსღა ეძებს
ისარი და მშვილდი.

ჩავაჩუმეთ ქარიც
აქ ამტეხი შფოთის...
გაზაფხულის დღეა,
გაზაფხული მოდის!

* * *

შენ კი ვინ ხარ, ვინღა
აგიმღვრია გული!
შორიდანაც გვშხამავს
შენი შავი წყლული..

შენ რა ეკლად გხვდება
ჩემი დელი-დელა!
აქ რომ დილის მზეა,
შენთან მაშინ ბნელა!

ბნელში მე არ გეძებ,
ღია ცის ქვეშ გელი.
კაცი თუ ხარ, დადექ
და მაჩვენე ხელი!

რა ვაებას მალავ,
რა? არ ვიცი განა?!
საქართველო შენს წინ
განა ერთხელ მდგარა!
შუქის ყოველ ბრყანვას
უსაფრდები ცაში,
მზეს წყალბადის ღრუბლით,
რომ შეგეძლოს, წაშლი!
[illegible]
შენი მხრების ჩრდილით,
ამომავალ იმედს
ვეგებები დილით!

სიცოცხლეა ჩემი,
სიხარული წმინდა,
და ხელადა ღვინოც
სადღეგრძელოდ მინდა.

დაილოცოს მხოლოდ
ნათელ ფერთა ფენა,
სამოციან წლების
ოცნება და რწმენა!

დაილოცოს ფუძე
ახალ ქართულ ოდის...
გაზაფხულის დღეა,
გაზაფხული მოდის!

კარლო კალაძე.

მწვანე კოცონი

ღამით წამოთოვა.

დილით, როცა ქუჩაში გამოველი, ფაფუკი თოვლი დამხვდა, ისეთი ნაზი, რომ გენანება ფეხი დააბიჯო.

...და ჭრიალებს სპეტაკი თოვლი ფეხქვეშ, თითქოს კვნესის სიმძიმის შეხებით.

ზამთარმა თავი მოგვანატრა.

აი წამოთოვა. ბავშვივით მიხარია.

ყინვა ჭახჭახებს ლიახვის ხეობაში.

ჭრი, ჭრრი, ჭრრრი...

სხეულში სასიამო სითბო ტრიალებს. უბრალოდ, ჩაი დავლიე (ჩვენში ღვინის სმას ტრაბახობენ) და ამ ყინვიან დილას ისე განვიცდი, თითქოს სითბოსთან ერთად ძარღვებს დამათრობელი სურნელებაც შემოეღო...

მე დავბრუნდი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირიდან, რომელიც ახლახან თბილისში გაიმართა.

ჯიბეში მაქვს ბლოკნოტი ჩანაწერებით. ფიქრით ვფურცლავ.

პირველად დავწერე: — მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" მერგოლური მეჩაიე ლეილა მაღულარია...

თოვლი ჭრიჭინებს.

სხეულში სასიამო სითბო ტრიალებს.

თეთრი სივრცე კონტრასტს მიკარნახებს. ფიქრები ილტვიან მისამართით — ნაგომარი... ლეილა მაღულარია... ამ ზამთარშიც მწვანე კოცონებივით ანთიან ლეილას ჩაის ბუჩქები. მათი მოამაგე ქალიშვილი კი თბილისში იყო. მათი მოამაგე? უფრო სწორი იქნება ვთქვათ — მათი მეგობარი!

ის იდგა ტრიბუნასთან. ყელყარყარა, ნაზი, დინჯი, ლაპარაკობდა: მოვკრიფე თექვსმეტტონანახევარზე მეტი...

ხანძარი უხეში სიტყვაა, მაგრამ ასე წარმოგვიდგენია — ჩაის ბუჩქები მწვანე კოცონები; პლანტაცია — მწვანე ხანძარი და ლეილას მარდი ხელების ელვა.

ამ ხელებმა, საყვარელმა ხელებმა სამშობლოში მიმოაბნია მოსავლელად ჩაბარებული ფართობიდან მოკრეფილი თექვსმეტტონანახევარზე მეტი ჩაის ფოთოლი — „მწვანე ხანძარი"... და ვინ იცის ჩემს სხეულში ანთებული დღევანდელი ნაპერწკლებიც ამ „ხანძრისაა!"

მადლიანია სამხრეთული მზე.

მისი მაცოცხლებელი სხივები სწორუპოვარი თანაბრობის განსახიერება არიან. ისინი ერთნაირად ეფინებიან მიწა-წყალს. იმ ჰექტარსაც, რომელსაც ლეილა „განაგებს", და სხვა ჰექტარებსაც.

მაგრამ თვით მზეც სხვა სიკეთედ იქცევა ლეილას პლანტაციაში. მისი სხივები გადაინაცვლებენ მწვანე ბუჩქებში და გაუნელებლად ანთიან.

ჩანს, ლეილას ნაზი, ამასთან სასწაულებრივად მარდი ხელები მზის სხივებსაც უკეთ იჭერენ, აჯადოებენ და შემდეგ გარდაქმნილი სახით სთავაზობენ ადამიანს.

საქმე უბრალო ფიზიკურ შრომაში როდია.

როცა ლეილა მაღულარია ტრიბუნიდან ლაპარაკობდა, ვრცელ დარბაზში ვიგრძენით, რომ მას მეგობარივით, ადამიანივით უყვარს ჩაის ყოველი ბუჩქი. შეუძლია არა მარტო მისი მოვლა, ძალუძს პირდაპირ ესაუბროს მცენარეს, გაუგოს, დაითანხმოს...

რამდენი სითბოს დაგროვება შესძლებია ადამიანის ხელს!

ფიქრები ისწრაფვიან მისამართით: სოფელი ნაგომარი... და მიაქვთ გულით ნათქვამი სიტყვა — გმადლობთ, ლეილა!

ლადო გელაშვილი.

ქ. ცხინვალი.

დაიხურა პროფკავშირთა XI ყრილობა

24 თებერვალს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პროფესიულ კავშირთა XI ყრილობის საბოლოო სხდომა. გრძელდებოდა განხილვა საანგარიშო მოხსენებებისა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და მისი სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **გ. ი. ჩოგოვაძე**, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ი. ბაკურაძე**, მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ტ. ბ. მგელაძე**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. ვ. ძამაშვილი**, ვაგონის მძღოლი, თბილისის ტრამვაის სამმართველოს საამხანაგო სასამართლოს თავმჯდომარე **გ. მ. ბასიაშვილი**, ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის მკრეფავი **ნ. ა. პაკელიანი**, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. მეტრეველი**, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის პროფჯგუფორგი **ზ. ტ. კვიწინია**.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **მ. მ. ლელაშვილმა**.

ყრილობამ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო.

ერთხმად დაამტკიცეს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მოსმენილ მოხსენებათა გამო მიღებულია გადაწყვეტილებანი.

არჩეულია საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

დაწვრილებითი ანგარიში ყრილობის მუშაობის შესახებ გაზეთების უახლოეს ნომრებში გამოქვეყნდება. (საქდესი).

ნაიმე სურმანიძეს წელს უჩვეულო სიხარული ეწვია. იგი, უბრალო მკერავი გოგონა, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ამ დღეებში იგი მონაწილეობდა საქართველოს პროფკავშირთა XI ყრილობის მუშაობაში. სურათზე: ნაიმე სურმანიძე თბილისში.

ფოტო ბ. დაღვაძისა.

ციფრების ენით

არჩევნებიდან არჩევნებამდე

◆

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა რიცხვს 55-ზე მეტი ახალი საწარმო და მოქმედ საწარმოთა 41-ზე მეტი ახალი საამქრო შეემატა.

ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებმა აითვისეს 111-ზე მეტი ახალი მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება. აქედან მარტო შარშან ათვისებულ იქნა ოცზე მეტი. მათ შორის სმ-57 ცხავი, პედ-85 ტიპის ჩასაყვინთი ზეთგავსებული ელექტროძრავი, კონუსურ როტორიანი ელექტროძრავი, ლოკომოტივის სლ-2-მ ტიპის სიჩქარსაზომი, სითბურელიანი ამამუშავებელი, ჩაის ბუჩქის შპალერულად სასხლავი აპარატი, ყურძნის საწური შნეკური წნეხი და სხვ.

ამჟამად საქართველო ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებს თუჯს 3,2-ჯერ მეტს, ვიდრე იტალია, ცემენტს 1,3-ჯერ მეტს, ვიდრე იაპონია, და 1,2-ჯერ მეტს, ვიდრე ინგლისი.

წინა არჩევნების შემდეგ ლაჯანურჰესისა და სხვა ელექტროსადგურების მწყობრში ჩადგომით საგრძნობლად გადიდდა რესპუბლიკის ენერგეტიკის ბალანსი. ახლა საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავება 9-ჯერ მეტია, ვიდრე მეზობელ თურქეთში.

გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა 1958 წლიდან 1962 წლის 1 იანვრამდე შემოიტანეს 69 ათასამდე რაციონალიზატორული წინადადება. აქედან წარმოებაში დაინერგა 33.800-ზე მეტი წინადადება. რესპუბლიკის საწარმოებში მარტო შარშან 23 ათასი რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა. აქედან სახალხო მეურნეობაში დაინერგა 12 ათასზე მეტი წინადადება, რაც იძლევა დაახლოებით 14 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას წლიწადზე გაანგარიშებით.

ამჟამად მარტო თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა ყოველწლიურად უშვებს იმაზე მეტ დაზგებს, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის მთელი მრეწველობა ერთად აღებული.

ოთხი წლის მანძილზე საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 3.682 ათას კვადრატულ მეტრს. ეს ფართობი გაცილებით მეტია იმ საცხოვრებელ ფართობზე, რაც გააჩნდა 1921 წელს საქართველოს ყველა ქალაქს თბილისის ჩათვლით. გარდა ამისა, არჩევნებიდან არჩევნებამდე სოფელ ადგილებში აშენდა 45.900 ახალი სახლი!

საავტომობილო ტრანსპორტმა ოთხი წლის მანძილზე გადაიყვანა 796,4 მილიონი მგზავრი, ანუ ევროპის ყველა სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობაზე თითქმის ასი მილიონით მეტი.

1959 წელს მწყობრში ჩადგა ყარადაღ-თბილისის გაზსადენი. ამჟამად გაზიფიცირებულია 30 ათასზე მეტი ბინა და 1.200 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. მარტო შარშან გაზიფიცირებულ იქნა 11 ათასზე მეტი ბინა.

უკანასკნელი ოთხი წელი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის წლები იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის. 1960 წელს მოკრეფილ იქნა იმდენი ჩაი, რამდენიც შვიდწლიანი გეგმით 1963 წლისათვის არის გათვალისწინებული. მარტო შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 3.468 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 3.152 ჰექტარი ვენახი, 1.292 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 396 ჰექტარი ციტრუსები და 422 ჰექტარი დაფნა.

ახლა საქართველოზე მოდის ჩვენი ქვეყნის ჩაის წარმოების 97 პროცენტი, ციტრუსების — 98 პროცენტი. საქართველოა ძირითადი მწარმოებელი მაღალი ხარისხის ღვინოებისა, ხილისა, არომატული თამბაქოს და ეთერზეთოვანი კულტურებისა.

მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1958 წელს ცოტათი აღემატებოდა 800 ათასს, ეს საშუალო წლიური რიცხვი 1961 წლისათვის შეადგენდა 1.010 ათასს, ესე იგი გაიზარდა თითქმის 200 ათასით.

საქართველოში 1913 წელს 7.400 მცხოვრებზე მოდიოდა ერთი ექიმი ქალაქად, ხოლო სოფლად ერთი ექიმი — 63 ათას მცხოვრებზე. ახლა ყოველ 10 ათას მცხოვრებზე რესპუბლიკაში მოდის 82 ექიმი. საქართველომ ამ მხრივ უკან ჩამოიტოვა ყველა კაპიტალისტური ქვეყანა. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 ათას მცხოვრებზე მოდის 10 ექიმი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცხოვრების დონის ამაღლებამ კვალი დააჩნია განათლებაზეც. ყოველ 1000 მცხოვრებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში 53,6 მოსწავლეა, საქართველოში — 166, ანუ სამჯერ მეტი. ყოველ ათას მცხოვრებზე უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვის (38) მიხედვით საქართველო მთელი მსოფლიოს მწვერვალია.

მაგრამ ყველაფერი ეს და ჩამოუთვლელი რამდენი რამ... კიდევ ცოტაა! საქართველოს მშრომელებს ჩვენი დიადი სამშობლოს — სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად დღეს კომუნიზმი უღიმის. იგი ყველაზე დიდი ფაქტი და დიდი ციფრია.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმისა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102¹ მუხლის დამატების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავს „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ" დაემატოს მუხლი 102¹ შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 102¹. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა.

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანიზაციების კუთვნილი ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენება ან შენახვა, რასაც მოჰყვა მათი გაფუჭება ან დამტვრევა, აგრეთვე ამ მანქანების კომპლექსის დაშლა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი არაერთგზის ან თუ მას მოჰყვა დიდი ზარალი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი.
1962 წლის 21 თებერვალი.

დიდი ინტერესი

ნ. ხრუშჩოვის ახალი წერილისადმი

ლონდონი, 23 თებერვალი. (საქდესი). ცნობა, რომ ლონდონში მიღებულია ნ. ს. ხრუშჩოვის ახალი წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანისადმი, დღეს სწრაფად გავრცელდა მთელ ინგლისში. მოსკოვში ამ დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე რეიტერმა „ელვით" გადასცა მისი შინაარსი.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსი თვალსაჩინო ადგილზე მოათავსეს დღეს გვიან გამოშვებაში საღამოს გაზეთებმა.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

◆

გაზეთები გამოყოფენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მისი გულისტკივილი გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანის ნეგატიურმა დამოკიდებულებამ წინადადებისადმი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ. „მინდა იმედი ვიქონიო, რომ თქვენ ჯერ კიდევ არ გითქვამთ თქვენი უკანასკნელი სიტყვა" — ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის ამ ფრაზას გაზეთი „ივნინგ ნიუსი" გამოჰყოფს სათაურში.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ინგლისის რადიოსა და ტელევიზიის უკანასკნელი ცნობების გამოშვებაში.

სკკპ დელეგაცია ჰანოიში

ჰანოი, 23 თებერვალი. (საქდესი). დღეს სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით ეწვია ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ლე დიკ თხომ დელეგაციის წევრებს გააცნო პარტიის შექმნის ისტორია, მისი სტრუქტურა და ამბავი, როგორ ხელმძღვანელობს იგი ვიეტნამელ ხალხს სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. დღის მეორე ნახევარში დელეგაცია იყო მოწინავე საწარმოში — ჰანოის მექანიკურ ქარხანაში.

საერთო საქარხნო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბიუმ. მან ულრმესი მადლობა უძღვნა სკკპ-ს, საბჭოთა მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს დახმარებისათვის ქარხნის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის პარტიული დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ბ. ნ. პონომარიოვმა საპასუხო სიტყვაში თქვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომლებიც ერთგული არიან ლენინის ანდერძისა, მუდამ მიაჩნდათ და მიაჩნიათ თავიანთ წმიდა ინტერნაციონალურ მოვალეობად ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება სოციალისტური ბანაკის მოძმე ქვეყნებს, მათ შორის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში. საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, ხაზგასმით აღნიშნა მან, სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

მიტინგი გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

ხალატბარი შეხვდება რასკს

ვაშინგტონი, 24 თებერვალი. (საქდესი). გუშინ აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უაიტმა განაცხადა, რომ 24 თებერვალს აქ ვიზიტად ჩამოდის სენტოს მუდმივი სამდივნოს გენერალური მდივანი ხალატბარი.

თავისი ვიზიტის დროს ხალატბარი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რასკს და აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან და პენტაგონის სხვა წარმომადგენლებთან.

ანგარიშსწორება ბუკის კუნძულზე

კანბერა, 24 თებერვალი. (საქდესი). როგორც პრესა ახალი გვინეიდან იუწყება, ავსტრალიის პოლიციის შეიარაღებული რაზმები გაუსწორდნენ კუნძულ ბუკის რამდენიმე სოფლის უიარაღო მცხოვრებლებს, რომლებიც უსამართლო დაბეგვრის წინააღმდეგ გამოდიან.

ინგლისელ მეცნიერთა პროტესტი

ლონდონი, 23 თებერვალი. (საქდესი). რადიოასტრონომიის დარგის ორმა გამოჩენილმა ინგლისელმა სპეციალისტმა ბ. ლოველმა და მ. რაილმა ჟურნალ „ნიუ-საინტისტის" უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც პროტესტს აცხადებენ ამერიკის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ სცადონ სპილენძის ნემსების გაშვება ორბიტაზე დედამიწის გარშემო რადიოტალღების ამრეკლის შექმნის მიზნით.

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ცნობები მიმოხილვა

პირველი ამერიკელი კოსმონავტის პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. (საქდესი). საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დღეს პირველი ამერიკელი კოსმონავტი ჯონ გლენი დაბრუნდა კანავერალის კონცხზე, რათა შეხვედროდა აქ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის და მიეღო მედალი, რომელიც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ მიანიჭა მას. როგორც კი გლენი ჩამოვიდა თვითმფრინავიდან პატრიკის საავიაციო ბაზაზე, აქ შეკრებილი უამრავი ხალხი მქუხარე ტაშით მიესალმა მას, პირველთა შორის კოსმონავტს მიესალმა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს უფროსის მოადგილე ჰიუ დრაიდენი. შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა. ასიათასამდე კაცი მიესალმა კოსმონავტს გზაში პატრიკის საავიაციო ბაზიდან კანავერალის კონცხის გამოსაცდელ ცენტრამდე.

გლენის შემდეგ კანავერალის კონცხზე სპეციალური თვითმფრინავით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი. პრეზიდენტი და კოსმონავტი მანქანებით მიდიან საკონტროლო ცენტრისაკენ, რომელიც ხელმძღვანელობდა პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდის გაფრენას ადამიანითურთ. საკონტროლო ცენტრისა და სასტარტო მოედნის დათვალიერების შემდეგ, საიდანაც 20 თებერვალს კოსმოსში აფრინდა რაკეტა „ატლასი" კოსმონავტის კაპსულითურთ, გაიმართა ცერემონია — ჯონ გლენის გადაეცა მედალი „შესანიშნავი დამსახურებისათვის".

ფაშისტ შეთქმულთა დანაშაულებრივი გეგმები

პარიზი, 23 თებერვალი. (საქდესი). „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია" (ოას-ი) გაძლიერებით ემზადება სახელმწიფო გადატრიალებისათვის საფრანგეთსა და ალჟირში. ამას მოწმობს ოას-ის შტაბის დოკუმენტები, რომლებიც ხელში ჩაუვარდათ საფრანგეთის ხელისუფლებს. ყოველკვირეულმა „ექსპრესმა" გუშინ გამოაქვეყნა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" მეთაურის სალანის მიერ ხელმოწერილი ოას-ის საიდუმლო ინსტრუქცია სამხედრო გადატრიალებისათვის მზადების შესახებ. დღეს კი გაზეთმა „ფიგარომ" გამოაქვეყნა ამონაწერები ორგანიზაციის საიდუმლო დირექტივებიდან მეტროპოლიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მეთოდების შესახებ. ამ დირექტივებიდან ჩანს, რომ ოას-ელთა მრავალი ფარული ორგანიზაცია 1961 წელს რეორგანიზებულ იქნა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე. დირექტივებში აღნიშნულია, წერს გაზეთი „ფიგარო", რომ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" ერთ-ერთი მიზანია გადატრიალების მოხდენისათვის მომზადება იმგვარად, რომ მას არ მოჰყვეს ახალი „პარიზის კომუნის" წარმოშობა.

ოას-ელებმა, როგორც დირექტივებიდან ჩანს, შეიმუშავეს მეტროპოლიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების ორი კონკრეტული ოპერაცია. ერთი მათგანი ითვალისწინებს „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" კონტროლის დაწესებას დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებზე, სამხედრო შტაბებსა და სამოქალაქო დაწესებულებებზე. ამ ოპერაციაში, „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" მეთაურთა გეგმით, მონაწილეობა უნდა მიიღონ საფრანგეთის არმიის ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა. ეს ოპერაცია ითვალისწინებს აგრეთვე „სამოქალაქო მოხალისეთა" მონაწილეობას მასში.

ეს ოპერაცია ითვალისწინებს მთელი რიგი „შეტევითი არალეგალური და აშკარა" მოქმედების განხორციელებას, რამაც უნდა დამბლა დასცეს ხელისუფლების ორგანოებს. დირექტივებში შემუშავებულია აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურა ეგრეთწოდებული „დამკვრელი გუნდებისა", რომლებიც გადატრიალების დროს უნდა მოქმედებდნენ პატარა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.


კონფერენციების კალენდარი
თებერვალი: ადენაუერი – დე გოლი
მარტი: დე გოლი – ადენაუერი
აპრილი: ადენაუერი – დე გოლი
მაისი: დე გოლი – ადენაუერი
ივნისი: ადენაუერი – დე გოლი
ივლისი: დე გოლი – ადენაუერი
აგვისტო: ად...
სექტემბერი: დე გოლი – ადენაუერი
ოქტომბერი: ადენაუერი – დე გოლი
ნოემბერი: დე გოლი – ადენაუერი
დეკემბერი: ადენაუერი – დე გოლი

დე გოლი: — როგორ მებაძება ხრუშჩოვი ჟენევაში! თავისუფალი დრო სრულებით არა მაქვს.

კარიკატურა გაზეთ „ლუმანიტედან".

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **ვაშინგტონი**, ატომური ენერგიის კომისიამ გუშინ გამოაცხადა, რომ ნევადის შტატში მოხდა კიდევ ერთი მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

☐ **ლონდონი**, ატომური ენერგიის სამმართველომ დღეს დაადასტურა, რომ „უახლოეს ორ კვირაში" ინგლისი აპირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნევადის შტატში მიწის ქვეშ ააფეთქოს ატომური მოწყობილობა.

☐ **ღონისძიებანი** საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომლებსაც ფართო რეკლამას უკეთებს ოფიციალური პროპაგანდა, ხელს არ უშლის ფაშისტებს განაგრძონ შავბნელი საქმეები. დღეს ღამით მათ სამი ბომბი ააფეთქეს პარიზის სხვადასხვა რაიონში. დიდი ნგრევითი ძალის აფეთქებებმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ალჟირში, პარიზის პრესის დამოწმებით, მხოლოდ გუშინ მოხდა 48 თავდასხმა, რომელთა შედეგად დახოცილია 30 კაცი და დაშავებული — 42.

☐ **ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლინკოლნ უაიტმა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტთა თხოვნის პასუხად, რომ კომენტარი გაუკეთოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ახალ წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისადმი, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პასუხი ამ წერილზე ამჟამად მზადდება.

ბორჯომელთა საქმეები

ბორჯომი. (საქ. კორ.). ახალ საწარმოო საჩუქრებს ამზადებს მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის კოლექტივი უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის — 18 მარტისათვის. იანვარში ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ჩამოასხა 220 ათასი ბოთლი „ბორჯომის" წყალი.

თებერვალშიც გამართულად მუშაობს ქარხნის ყველა საამქრო. 15 თებერვლისათვის ნახევარი თვის გეგმის ზევით ჩამოსხმული იყო 100 ათასი ბოთლი „ბორჯომი".

ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელებმა წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე დადგომისას ვალდებულება იკისრეს პირველ კვარტალში გეგმის გადაჭარბებით ჩამოასხან ნახევარი მილიონი ბოთლი „ბორჯომის" წყალი.



ახალ საქართველოს

დრონი მიდიან და იცვლებიან, მაგრამ აზრები, განცდები, ცხოვრების სურათები, მოგონებები ხალხში რჩებიან და ცოცხლობენ.

და თუ როგორი იყო ის წარსული ცხოვრება, რა ნაღველი იპყრობდა ადამიანს, ამაზე მოგვითხრობენ აქ მოყვანილი ხალხური იგავ-არაკები და ლექსები.

მაგრამ აქვე ვკითხულობთ თანამედროვე უბრალო ადამიანების გულის წადილსაც, მათს აღფრთოვანებას საბჭოთა საქართველოს უბადლო წინსვლის, აყვავების გამო.

ორმოცდაერთი წელი შესრულდა საბჭოთა საქართველოს. უმაგალითოდ იცვალეს სახე ჩვენმა ქალაქებმა, სოფლებმა. გაჩნდა ახალი ინდუსტრიული ცენტრები. ბაღ-ვენახებით, შესანიშნავი პლანტაციებით დაიქსელა ჩვენი ხმელეთ-ზურმუხტი.

და როგორ შეიძლება სიყვარულით არ აგანთოს, შთაგონება არ აღგიძრას მშვიდობიანი შრომით აყვავებულმა, ახალი ცხოვრებით აღორძინებულმა, წარსულში მრავალჭირნახულმა საქართველომ. მას უმღერიან ალალი გულით, იქნება იგი მწყემსი თუ მოსწავლე, მუშა თუ კოლმეურნე, ჩაის ფოთლის მკრეფავი თუ დიასახლისი.

აი ზოგი მათგანის ჩანაფიქრი:

შირაქის მინდორს გავხედე,
ამღერდა ჩემი გულია.
გაშლილა ველი პურადი,
ყანებით დახატულია.
მუშაობს ხალხი ერთგულად,
ხელი-ხელ გადაბმულია.

წერს წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნე ვლადიმერ ჩოხელი.

ბევრი მომხდური ვერაგი
შენს კარზე სისხლით დაცლილა.
ბევრი მილეწა ქართველმა,
ხმლით და ტყვიით დაცხრილა.
ცა ბევრჯერ ჩამოგვიბნელეს,
წარსულში ცრემლით ნაწვიმსა,
მაგრამ ყორნების ჩხავილი
ფრთებს ვერ უკეცდა არწივსა.

ახალ ცხოვრებას უმღერის მთების შვილი, დუშეთის რაიონის კოლმეურნე ვლიკო ხუცურაული.

ბრწყინავს, ნათელ მზის სხივებში
გახვეულო საქართველოვ,
შენმა ეშხმა და მშვენებამ
ამამღერა, საყვარელო.
ვარ რუსთველი მეფოლადე
შენი ერთი გამრჯე შვილი.
უბრალო ლექსს გულით გიწერ,
არ მოგივა ამით ჩრდილი.

თავაზიანად გამოთქვამს თავის სიყვარულს განახლებული საქართველოსადმი ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა ვლადიმერ სოხაშვილი.

ვით არ გიმღერო, ჩემო მამულო,
ვის არ მოხიბლავ ეშხით, იერით,
წარსულში მტრისგან გულმოშხამულო,
ახლა ხარ წინსვლით სვე-ბედნიერი.

გულწრფელად აღიარებს სამშობლოს წინსვლით გამოწვეულ აღტაცებას ახალგაზრდა ავტორი, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას მკვიდრი ქეთევან ბიბიჩაშვილი.

თუ პოეტი ხარ, პოეტი იყავ,
თუ ქვის მთლელი ხარ, ქვა უნდა თალო.
და თუ სამშობლო გულწრფელად გიყვარს,
სიცოცხლეც უნდა მას ანაცვალო.

გვწერს სამამულო ომის ინვალიდი სოლომონ ხათაშვილი. იგი წრფელი სტრიქონებით გვიხატავს სოფლის პატარა წყაროსაც, სადაც შრომის ფერხულში ჩაბმული ახალგაზრდები და მოხუცები ხშირად მოდიან ხოლმე და გულს გაიგრილებენ კამკამა წყლით. ამ წყაროსთან ახლა, როგორც ავტორი გადმოგვცემს,

ხეს ფოთოლი გაუშლია,
მდელოს — ნოხი რბილი,
წყაროსავით ჩქეფს სიცოცხლე
ლამაზი და ტკბილი.

ოქტომბრის დროშით დაიდგა აღორძინების დღე, სიცოცხლე, სუნთქვა ხარ, ჩემო აყვავებულო მამულო, წერს მაიაკოვსკიდან ელგუჯა ყურაშვილი და ბოლოს ასე მიმართავს მშობელ ქვეყანას:

შენით ავმაღლდი, ვიხარე,
ტრფობის სახმილი მედება,
რაც შევიცანი ეს მხარე,
დამისახია ედემად,
შენი ქაბუკი ვიქნები,
გული არ დამიბერდება.

ხედავს, თუ როგორ იბადება ენგურის ქარხანაში ქაღალდი. სვანეთის მთებიდან მოდის მხრებგაშლილი სოჭების წყება, ხე მანქანის მოქმედების არეში მოექცევა, რომ ქაღალდად იქცეს. აი როგორ აგვიწერს ამ პროცესს ახალგაზრდა ავტორი დ. მესხია:

აბა ვის ჰქონდა წინათ აზრი,
აზრი რჩეული,
მთიდან ნასროლი ხის მორი რომ
ლექსად ექცია.
მთებში გაზრდილი ვეება ხე
წიგნად ქცეული,
მოდის, გადაშლი, შიგ ვაჟას და
შოთას ლექსია.

საბჭოთა საქართველოზე, მშობლიური სოფლების წინსვლაზე, მოწინავე ადამიანებზე გვწერენ ლექსებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ვასახელებთ ზოგიერთ მათგანს, რომელთა ნაწერი გამოირჩევა უშუალობით, გულწრფელობით. ესენი არიან: ნუნუ აზარიაშვილი, ცირა ბათაშვილი, ნინო ბათმანიშვილი, ეთერ სამნიაშვილი, გულნაზი სოფრომაძე, გ. იაკობაშვილი, ე. ავალიანი, დ. არაბული, გ. ოფციაური, თ. ბაგაშვილი, ა. გიორგაძე, ლ. გოქსაძე, გ. გორგაძე, გ. გვასალია, რ. გაჩეჩილაძე, ჟ. დოლიძე, გ. დუმბაძე, ვ. ლაზაშვილი, ჟ. იაკობაშვილი, მ. ნადიბაიძე, ი. ნემსიწვერიძე, ვ. ლაზაშვილი, ვ. კლდიაშვილი, ა. კერესელიძე, კ. მარნელი, რ. მინელაშვილი, გ. მედულაშვილი, ვ. ხოფურაძე, ლ. წიწკაშვილი, ტ. ცალუღელაშვილი და სხვები.

მოყვანილი სტრიქონებით არ ამოიწურება ახალგაზრდა უცნობ ავტორთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ისინი ზრდის პროცესში არიან და ცხადია, უფრო უკეთ, მთელი ხმით უმღერებენ ჩვენს აყვავებულ სამშობლოს, როცა გულდაგული შრომით მიაღწევენ ოსტატობას ჩვენი საერთო ზრდის დიდ გზაზე.

◊

ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა

„დაღუპვას" გადარჩნენ



ძველად, ქართლის ერთ სოფელში დიდი წვალების შემდეგ პირველდაწყებითი სკოლა გახსნეს. ბავშვების მიღება სკოლაში კენჭის ყრით იყო. შედგა კენჭნარგები ბავშვების სია.

ამ სიაში მოჰყვა ერთი ხელმოკლე გლეხის ბავშვი. როდესაც მან ეს ამბავი გაიგო, — გული შემოეყარა.

— ჩემმა ბიჭმა რომ სკოლაში დაიწყოს სიარული, სკოლის ფულს გადამახდევინებენ, სხვადასხვა ხარჯები მომემატება, ბავშვი სახლსაც მოსცდება და მთლად დამეღუპება ოჯახი, — ფიქრობდა ეს კაცი.

წამოვიდა იგი სახლში დაღონებულ-დამწარებული. სახლის კარები შეაღო თუ არა, წამოიძახა:

— ესეც ჩვენი ბედი და იღბალი, რაღა ჩვენს შვილს შეხვდა კენჭი! — და გადახედა ტახტზე მჯდომ თავის ცოლს.

— კენჭი რგებია? — შეეკითხა შეშფოთებული ცოლი.

— კენჭი რგებია და სკოლის სიაშიც შეუტანიათ, — უპასუხა ქმარმა.

— ვაი დაღუპულო ოჯახო! — წამოიძახა სასოწარკვეთით ცოლმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

სიჩუმე ისევ ცოლმა დაარღვია. იგი ქმარს ეუბნება:

— ამ საქმეს თუ უშველის, ისევ ჩვენი მამასახლისი. მეტი გზა არ არის — იმასთან უნდა წახვიდე, ცოტაოდენი ძღვენი წაუღო და სთხოვო ბავშვის სიიდან ამოშლა.

ცოლის რჩევა ქმარს ჭკუაში დაუჯდა. მეორე დღეს, რაც მოეძევებოდა, ხურჯინში ჩააწყო და წავიდა.

ხურჯინის დანახვაზე მამასახლისი კარგ გუნებაზე დადგა და შეეკითხა მისულს:

— რაზედ გარჯილხარ, კაცო?

— რაღა რაზედ შენი ჭირიმე. ჩვენო მამავ და მშველელო, ეგებ როგორმე ჩემი ბიჭი სკოლის სიიდან ამოაშლევინო, — ამას გევედრები, თორემ ხომ იცი გლეხკაცის ამბავი, ოჯახი დამეღუპება, — დაეღრიჯა მამასახლისს კარზე მიმდგარი კაცი.

— ეს ძალიან ძნელი საქმეა, — გაუძნელა საქმე მამასახლისმა, — მაგრამ შენთვის რამენაირად გავაკეთებ, — უთხრა მან.

— ოღონდაც ეს საქმე გამიკეთე შენ თავს შემოგევლე და, კიდევ მე ვიცი და შენმა პატივისცემამ, — მიუგო ცოტა დამშვიდებულმა კაცმა.

ბავშვი სიიდან ამოშალეს და ოჯახი „დაღუპვას" გადარჩა.

თვითჩამწერი **დ. ხმიადაშვილი,**
სოფელი მეჯვრისხევი, გორის რაიონი.

ჩემი შენ გითხარიო...

ბატონი და ყმა ერთ მაგიდას უსხდნენ, დამტვრეულ კაკალს არჩევდნენ და თან შეექცეოდნენ. ყმა ნიგოზს სჭამდა, ხოლო ნაჭუჭს თავის ჯამზე ჰყრიდა. ბატონიც ნიგოზს მიირთმევდა, მაგრამ ნაჭუჭს ჩუმად ყმის ჯამზე ჰყრიდა.

როცა ჭამას მორჩნენ, ყმის ჯამზე ბლომად იყო დაგროვილი კაკლის ნაჭუჭი, ბატონისაზე კი ერთიც არ ეგდო.

— ღორი ხარ, ბიჭო? ეს რამდენი კაკალი შეგიჭამია ასე უცებ? — შესძახა ბატონმა.

— მენა კი არა, ბატონო. ღორი ის არის, ვინც კაკალს ნაჭუჭიანად მიირთმევსო! — მიუგო ყმამ.

მთქმელი **ი. მერაბიშვილი,**
დუშეთის რაიონი,
ჩამწერი **შ. ლორთქიფანიძე.**

მწყემსის ბავშვობა

ოთხმოცდაერთი წლისა ვარ,
ბევრი რამის ვარ მოწამე.
ლხინი თუ მცირე მინახავს,
მრავალი ტანჯვით ვეწამე.
რო დადგებოდა აპრილი,
მინდვრად ვიყავით ყველანი,
თავშესაფარი არ გვქონდა,
არც ვისგან გვქონდა შველანი.
რო დაუშვებდა წვიმასა,
დგომითა წელი გვწყდებოდა.
დავეყრებოდით მიწაზე,
ქვეშ გუბეები დგებოდა.
ვიტანჯებოდით ასე და
სისველით სული გვხვდებოდა.
თვითონ განსაჯე, მკითხველო,
თუ რა დღე დაგვადგებოდა.
ახალზე რაღა გიამბო,
თვით კარგად ხედავთ ყველანი.
იკურთხოს მათი სახელი,
ვინც ტანჯულთ მისცა შველანი.

ავტორ-მთქმელი **გ. მედულაშვილი.**
გურჯაანი.

თეთრად ნაკერო ჩოხაო

თეთრად ნაკერო ჩოხაო,
ტიალო ჩოხის ძველაო,
უსამართლობავ ოხერო,
რა დაუნდობლად მთელაო,
პრისტავი თავში ჩამარტყამს,
ვისად მოვსთხოვო შველაო,
ქვასავით ყელში მადგები
გამხმარო სვილის კვერაო,
ხვალის ლუკმაზე წუწუნო, —
დაგწყვიოს ბედის წერაო,
ცოლ მეუბნება: შენ გუდა
დაფხრილა, ველარ ვკერაო,
— რაად რა მინდა გუდაი,
საგრძლად რაი მაქვს მენაო,
ვინ იცის, რა მოგვიტანოს
ხვალინდელ დღეის დღემაო,
იქნება ჩამოგვიშუქოს
თავის სხივები მზემაო.

მთქმელი **აბრამ შეთეკაური,**
სოფელი ევჯენტი, თიანეთის რაიონი.
ჩამწერი გ. შეთეკაური.

◆

ჰაი დედასა



ერთხელ დადიანმა ერთ გლეხს უბრძანა: მოემზადე, ხვალ დილით ადრე სვანეთში უნდა წახვიდე ბექო ავალიანთანო. დანარჩენი თვითონ იცისო. გლეხი მოემზადა და უთენია გაემგზავრა. მივიდა ბექოსთან და უთხრა: დადიანმა გამომგზავნაო.

— რატომ? — შეკითხვია სვანი. გლეხმა თურმე თავი მოიქექა და უთხრა: რა ვიცი, ასე მითხრა, თვითონ იცისო.

— აჰა, ვიცი, რატომ გამოგზავნიდა. აი ეს უნდა მიუტანოო და მარილის საფქვავი ქვა აჰკიდა. რის ვაი-ვაგლახით მიაღწია გლეხმა დადიანის სახლამდე. როცა დადიანმა შინდაბრუნებული, არაქათგამოცლილი გლეხი დაინახა, გაეცინა და თქვა: აი, რატომ მიყვარს ბექო. მეორე გლეხს შეუტია: რა მინდოდა, რატომ კარგად არ შემეკითხეო?

ჰაი დედასა, ერთობათო, ამოიგმინა გლეხმა.

თვითჩამწერი პედაგოგი
ჯ. გოგორიშვილი.
ლენტეხის რაიონი,
სოფელი ჟახუნდერი.

მრუდე სამართალი

ძველად ერთ მოსამართლესთან ორი კაცი მივიდა საქმის გასარჩევად. ისინი ერთმანეთს ედავებოდნენ. მომჩივანმა მოსამართლეს ერბოთი სავსე დიდი ქილა მიართვა, ხოლო მოპასუხემ სიმსუქნისგან ათქვირებული ვეებერთელა ტახი მიიყვანა და მოსამართლეს ეზოში დაუბა.

მოსამართლემ დინჯად, დამშვიდებით მოისმინა ამ ორივე კაცის ურთიერთბრალდება, რის შემდეგაც ტახის პატრონი გაამართლა, ხოლო ერბოიანი ქილის პატრონი გაამტყუნა.

ერბოს პატრონს ძალიან ეწყინა მოსამართლის უსამართლო საქციელი და იმავე ღამეს დაუყოვნებლივ შინ ეწვია. შევიდა თუ არა მოსამართლესთან, მაშინვე ბრაზიანად უსაყვედურა:

— კაცო, არა გრცხვენია, რისთვის გამამტყუნე, განა მაგიტომ მოგიტანე იმხელა ერბოიანი ქილაო.

— აბა რა ვქნა, ძმაო, შენს ერბოიან ქილას ტახმა ეშვი ამოჰკრა და გატეხაო, — მიუგო მოსამართლემ.

მთქმელი **დავით გარსევანიშვილი,**
სოფელი შილდა, ყვარლის რაიონი,
ჩამწერი გ. შეთეკაური.

ჩვენი გულის ყვავილები.
ფოტოეტიუდი
ბ. დადვაძისა.

ევროპისა და ამერიკის შემდეგ აზიის „დასაპყრობად"

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ეწვევა ინდოეთს, პაკისტანს, ნეპალსა და ცეილონს

◆

ყოველ წელს ახალი ქვეყნები, ახალი სიხარული, ახალი გრძნობები... ასეა ამ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის მანძილზე.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს დღემდე ევროპისა და ამერიკის ოცდასამი სახელმწიფო აქვს მოვლილი, ბევრ სახელმწიფოში იგი ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც ყოფილა. ერთი სიტყვით, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, დანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და პოლონეთში თოთხმეტჯერ იხილეს ქართველი მოცეკვავეები, რომლებსაც გულწრფელად აღტაცებული მაყურებელი ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებოდა.

თუ ამ ქვეყნებში გამართული ყველა კონცერტის მაყურებელთა რიცხვს ტელემაყურებელთა რიცხვსაც მივუმატებთ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ევროპასა და ამერიკაში ქართულ ცეკვას ასი და ორასი ათასი კი არა, რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი იცნობს.

დედამიწის ორი უზარმაზარი კონტინენტი ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს... ახლა მესამე კონტინენტის ჯერი დგება.

რამდენიმე დღეც, და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი მცხუნვარე მზით აფერადებულ აზიას ეწვევა.

„კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში ანსამბლის ერთ-ერთმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა თქვა:

— ჩვენი ანსამბლი პირველი დიდი მხატვრული კოლექტივია, რომელიც საბჭოთა ქვეყნიდან კალიდასასა და თაგორის სამშობლოში მიემგზავრება.

პირველ კონცერტს დელიში გავმართავთ ხუთ ან ექვს მარტს. შემდეგ კალკუტასა და ბომბეიში გადავალთ. გამოვალთ „ღია თეატრებში", პირდაპირ ცის ქვეშ.

ინდოეთი აღმოსავლური კლასიკური ცეკვის ქვეყანაა და შევეცდებით ვაჩვენოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ჩვენს ანსამბლს აქვს. ამერიკის კონტინენტზე მოგზაურობისას რეპერტუარში გვქონდა ოცი ცეკვა, ახლა კი ინდოეთში ოცდაერთი ცეკვით მივდივართ. ამ გასტროლებისათვის სპეციალურად დავდგით „ანანურის მთიელთა ცეკვა", რომელსაც ასრულებენ ანსამბლის საუკეთესო მოცეკვავეები — რუსუდან ენუქიძე, ნინო კირვალიძე, ლიანა აბრამიშვილი, თენგიზ სუხიშვილი, დავით ბასილაშვილი, თენგიზ უთმელიძე.

ინდოეთში მიწვეული ვართ თვით მთავრობის მიერ, ერთი სიტყვით, მაღალ დონეზე. პაკისტანში, ნეპალში და ცეილონში კი ამ ქვეყნების იმპრესარიოებმა მიგვიწვიეს.

პაკისტანში ჩვენი ანსამბლი ორ კვირას დარჩება, ნეპალსა და ცეილონში თითო კვირით ჩავალთ.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ადრე არასოდეს არ ყოფილა აზიაში საგასტროლოდ. ამდენად ჩვენი ანსამბლის სამოცივე წევრის ყველაზე დიდი სურვილია ევროპისა და ამერიკის შემდეგ არც აზიის ქვეყნები დავტოვოთ მოუხიბლავი. ამ გასტროლების დროს ანსამბლთან ერთად იმოგზაურებს საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის კინოოპერატორი ო. დეკანოსიძე.

თუ როგორ ჩაივლის ეს გასტროლები, ამას ქართველი მაყურებელი კინოფირზე აღბეჭდილს იხილავს.



სურათზე: ზემოთ — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი; ქვემოთ — რუკა, რომელზეც ისრებით ნაჩვენებია ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოკლედ ყველაფერზე

24 თებერვალს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ძველი ბერძნული დრამატურგიის კლასიკოსის ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა".

ნაწარმოები ბერძნული ენიდან თარგმნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პ. ბერაძემ, სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. ჩხარტიშვილმა.

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში საუკეთესო საჩუქარი მიიღეს დაბა ჩოხატაურის მცხოვრებლებმა.

დაბის ცენტრში დამთავრდა ახალი კინოთეატრის მშენებლობა. მისი დარბაზი 500 მაყურებლისათვის არის განკუთვნილი. აქ ყოველდღიურად უჩვენებენ ახალ მხატვრულ კინოფილმებს.

თელავი. (საკ. კორ.). გაგრა, ახალი ათონი, ბორჯომი — სად არ დაისვენეს შარშან თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშებმა.

წელს დასასვენებელ სახლებში ამ ფაბრიკის 52 მუშა გაემგზავრება. სანატორიუმების საგზურებით ცამეტი მუშა დაისვენებს. მოწინავე მუშამ ვარა გიორგელაშვილმა კისლოვოდსკის სანატორიუმის საგზური მიიღო.

ქუთაისი. (საკ. კორ.). კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა და უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს კინომოყვარულთა წრე, რომლის წევრებმა გადაწყვიტეს თავიანთი სტუდიის ძალებით შექმნან პირველი კინოფილმი მშობლიურ ქალაქზე. „ჩვენი ქალაქი" — ასე ეწოდება ამ ფილმს. მის დადგმას ხელმძღვანელობს სტუდენტი რ. ერისთავი.

სიღნაღი. (საკ. კორ.). ვასილ მანგოშვილი ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავე მეღორედ ითვლება, სიღნაღის მონადირეთა საზოგადოებაში კი — წარჩინებულ მონადირედ.

ვასილ მანგოშვილმა 1961-1962 წლების სანადირო სეზონში ოთხი მგელი, 27 მელა და 12 გარეული კატა მოკლა. ტყავები რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორას ჩააბარა და ჯილდოდ 400 მანეთი მიიღო.

სტოკჰოლმიდან გვატყობინებენ

ფიშერისა და პეტროსიანის ორთაბრძოლა

სტოკჰოლმი. 24 თებერვალი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირზე საერთაშორისო ოსტატი ლევ აბრამოვი ტელეფონით გვატყობინებს:

დღეს შედგა მე-17 ტური. ყურადღების ცენტრში იდგა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის გროსმაისტერ რ. ფიშერისა და საბჭოთა გროსმაისტერ ტ. პეტროსიანის პარტია. დებიუტიდან რ. ფიშერმა მიიღო გარკვეული პოზიციური უპირატესობა ფრანგულ დაცვაში, ამასთანავე შეძლო პაიკის მოგება, მაგრამ პეტროსიანი მისთვის ჩვეული სიზუსტით თამაშობდა და მოიგერია მეტოქის მუქარები. მძაფრი და შემოქმედებითი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო, სადაც მდგომარეობა საყაიმოა.

გროსმაისტერი ე. გელერი წარმატებით იბრძოდა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე წარმომადგენლის ა. ბისკაიერის წინააღმდეგ. მან ლამაზი კომბინაციებით მიიღო გარკვეული უპირატესობა და აიძულა მეტოქე თავი დამარცხებულად ეცნო.

ვ. კორჩნოი შავებით ჩინებულად იბრძოდა უნგრელი გროსმაისტერის გ. ბარცას წინააღმდეგ, მაგრამ ეს პარტია არ დამთავრებულა. ვ. კორჩნოის ზედმეტი პაიკი აქვს, ამასთანავე ინარჩუნებს უკეთეს პოზიციას.

ა. პომარ – ლ. შტეინის პარტიაში მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და იძულებული გახდნენ ყაიმზე შეთანხმებულიყვნენ.

მ. აარონ – მ. ბერტოკის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ი. ბილეკ – მ. ფილიპის, ლ. პორტიშ – ი. ბოლბოჩანის, პ. ბენკო – ვ. ულმანისა და ს. შვებერ – მ. კუულარის პარტიებში მდგომარეობა დაახლოებით თანაბარია. ს. გლიგორიჩს უკეთესი პოზიცია აქვს ფ. ოლაფსონთან გადადებულ პარტიაში, ა. იანოვსკის ზედმეტი პაიკი აქვს ე. გერმანთან პარტიაში.

17 ტურის შემდეგ კვლავ წინ არის რ. ფიშერი, რომელსაც 12,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 16-დან. ე. გელერს 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 16-დან, ტ. პეტროსიანს, ვ. ულმანს, ს. გლიგორიჩსა და მ. ფილიპს — ათ-ათი ქულა და თითო გადადებული პარტია 16-დან.

კომუნისტი სპორტი

ევროპის ჩემპიონატთა თასზე

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. უახლოეს დღეებში გამოვლინდებიან ნახევარფინალის მონაწილენი.

საერთო ინტერესს იწვევდა ორი პოპულარული საკლუბო გუნდის — მადრიდის „რეალისა" და იტალიის ჩემპიონის „იუვენტუსის" (ტურინი) შეხვედრა. როგორც ვიუწყებოდით, ამ გუნდების პირველი მეოთხედფინალური მატჩი დამთავრდა ესპანელთა გამარჯვებით 1:0.

ამ გუნდების ნახევარფინალში გასვლის საკითხი თითქოს უნდა გადაეწყვიტა მეორე შეხვედრას მადრიდში. ბევრი გამარჯვებას „რეალს" უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ მოხდა პირიქით. იტალიელები მოქმედებდნენ აქტიურად, მაღალი ტემპით. 38-ე წუთზე „იუვენტუსის" ცნობილმა ფეხბურთელმა მარცხენა შუამარბმა სივორმა გაიტანა ეფექტური გოლი. ეს ბურთი მთელ თამაშში ერთად ერთი აღმოჩნდა. გაიმარჯვეს იტალიელებმა.

ამრიგად, მეტოქეებმა მეოთხედფინალური შეხვედრები თითო გამარჯვებით დაამთავრეს, ბურთების შეფარდება კი შეადგენს 1:1. გამარჯვებულის გამოსავლენებლად „რეალსა" და „იუვენტუსს" შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე. ეს შეხვედრა ჩატარდება 28 თებერვალს პარიზში.

პირველი მატჩი ბათუმში

შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე წვრთნას გადიან ჩვენი ქვეყნის „ა" და „ბ" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები. გუშინ ბათუმში გაიმართა პირველი ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 2:0.

ურუგვაელთა მომავალი ტურნე

ჩილიში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის დაწყებამდე ურუგვაელი ფეხბურთელები ევროპის კონტინენტზე მოაწყობენ ტურნეს. ისინი გამოვლენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სსრ კავშირსა და შოტლანდიაში. ეს მატჩები ურუგვაის ნაკრებისათვის იქნება გენერალური რეპეტიცია მომავალი დიდი ბრძოლების წინ.

ურუგვაელები ევროპაში ჩამოვლენ აპრილის პირველ რიცხვებში. 11 აპრილს ისინი შეხვდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს, 17 აპრილს — უნგრეთის ნაკრებს, 22 აპრილს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, 27 აპრილს — სსრ კავშირის ნაკრებს, 2 მაისს — შოტლანდიის ნაკრებს.

ბრაზილიელებმა უარყვეს თავიანთი ადრინდელი გადაწყვეტილება არგენტინის, პერუსა და პარაგვაის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრის შესახებ იმ მოტივით, რომ ეს გუნდები რამდენადმე უხეშად თამაშობენ და ამან შესაძლოა არასასურველი გავლენა მოახდინოს ჩემპიონის საბრძოლო შემადგენლობაზე. ამ შეხვედრათა ნაცვლად ბრაზილიელები გამოვლენ საფრანგეთსა და ბელგიაში, სადაც შეხვდებიან ადგილობრივ ნაკრებ გუნდებს.

ქუთაისის „ტორპედო"— ოჩამჩირეში

ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების" სტადიონზე წვრთნას შეუდგა „ა" კლასის დებიუტანტი — ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდი.

გუნდის უფროსი მწვრთნელია ვ. რამიშვილი. საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს მ. ცხვედიანი, გუნდის უფროსია უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ი. ლობჟანიძე, მწვრთნელია სპორტის ოსტატი ა. ნორაკიძე.

ტორპედოელები ოჩამჩირეში 20 მარტამდე დარჩებიან და ჩაატარებენ საკონტროლო მატჩებს.

აქვე საწვრთნელ შეკრებას გაივლიან ლუგანსკის „შრომითი რეზერვებისა" და სევეროდონეცკის „ქიმიკის" გუნდები.

6 მარტს მოწვეულია საქართველოს ჟურნალისტთა II ყრილობა

ყრილობა გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 3, 4, 5 მარტს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში დილის 10 საათიდან დღის 5 საათამდე (რუსთაველის პროსპექტი № 42). ტელეფონი — 3-35-24.

საქართველოს ჟურნალისტთა
კავშირის გამგეობის
პრეზიდიუმი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

პატივცემულო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და ამხანაგს, რომლებმაც პატივი სცეს მიხეილ ჯავახიშვილის ხსოვნას მისი დაბადების ოთხმოცი წლისთავზე.

მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

25 თებერვალი

თეატრები: **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ამაო სიფრთხილე (დღისით), დიდოსტატის მარჯვენა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ბახტრიონი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით), ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — თეთრ ღამეებთან გამოთხოვება (დღისით და საღამოს), **ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეკარე (პრემიერა, რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — მეისრე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელი ეშმაკუნები (აბონ. № 7, 12 ს., აბონ. № 9, 4 ს.), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ლენინგრადის საესტრადო ორკესტრი „მეგობრობა".

ტელევიზია: 12.00 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 12.20 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი", 13.00 — მხატვრული ფილმი „პაველ კორჩაგინი", 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — კინონარკვევი, 18.40 — საერთაშორისო მიმოხილვა, 18.55 — კინოჟურნალი, 19.05 — გადაცემა — „საქართველოს თეთრი ოლიმპიადა", 19.25 — გადაცემა ციკლიდან — „რა შემოგვინახა ქართულმა დოკუმენტურმა კინომატიანემ", 19.55 — საესტრადო კონცერტი.

საკვირაო ფურცელი კომუნისტი